ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 3 იანვარი, 2017 №1 (7236) ფასი: 50 თეთრი

## გაერთიანდებიან თუ არა მარგველაშვილი და უსუფაშვილი


გვ.2

# „ნაციონალები ბიძინა ივანიშვილთან დადიან კონსულტაციებზე“


გვ.3

გიგლა ბარამიძე: „კვირიკაშვილს ამერიკის ელჩი რაღაც დავალებებს აძლევს“





„ამ ქვეყანაში ოცნებების ასრულება მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია“


გვ.2

## სოსო ცისკარიშვილი: „პრემიერ-მინისტრს ვურჩევ, დროულად მოიძიოს პროფესიონალი კადრები“

გიგა ბოკერია თუ პოლიტიკაში დარჩება, მაშინ მას მოუწევს სულ სხვა სტრატეგიის შერჩევა. პირველ რიგში, დამოუკიდებლად თამაშის დაწყება




გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ბოკერიას დაუნდობლად ექცევა“

ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთი „ქართულ ოცნებას“ ვირეშმაკობაში ადანაშაულებს“

## მაკეინმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა?


გვ.3

ლურჯი ავტობუსები №51 მარშრუტზე გავიდნენ


გვ.6


გვ.5

შსს-მ „გირჩის“ ოფისში

## მარიხუანის დათესვის

ფაქტზე

## გამოძიება დაიწყო


გვ.6

ქართული ყურძნის წიპწის ზეთი ჩინეთსა და გერმანიაში ექსპორტზე გადის

რა ელის საქართველოს?


გვ.5

## დაიდება თუ არა პაქტი ტრამპსა და პუტინს შორის

ამერიკელი ანალიტიკოსები: „2017 წლის მთავარი საფრთხე რუსეთსა და ნატოს შორის კონფლიქტია“

ISSN 1987-9385


გვ.10

## როგორი იქნება 2017 წელი დასავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო ცისკარიშვილი: „პრემიერ-მინისტრს ვურჩევ, დროულად მოიძიოს პროფესიონალი კადრები“

## „ამ ქვეყანაში ოცნებების ასრულება მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია“

ნონა ცაბაძე

განვლილი 2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენებზე, დადებით და უარყოფით ფაქტებზე, რას ველოდებით ახალ 2017-ში, ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** საუბრობს.

***— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით განვლილ 2016 წელს? ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერის შეფასებით, პოლიტიკური თვალსაზრისით კატასტროფული წელი იყო 2016 წელიო. რას იტყვით თქვენ?***

— ჩემი აზრით, 2016 იყო არა რაიმე მდორე პროცესების წელი, არამედ განსხვავებული დასაწყისით და სრულიად საწინააღმდეგო დასასრული წელიწადისა.

***— რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ იმას, რომ 2016 წლის დასაწყისიდან, როგორც იქნა, გონს მოვიდა ვილაც, რომელიც წინა წლებში ყოფილ პრემიერ-მინისტრს უკრძალავდა პრეზიდენტთან თანამშრომლობას.

როგორც კი მართვის სადავეები აიღო ბატონმა კვირიკაშვილმა, მან ეს მახინჯი ფორმატი მოიშორა და მოწმენი ვიყავით ძალიან აქტიური თანამშრომლობისა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის. ასეთი ტრიო დაამშვენებდა ნებისმიერ ქვეყანას. დასანანია, ეს პროცესი რომ არ გაგრძელდა წლის მეორე ნახევარში.

***— რა შეიცვალა?***

— ძირითადი ცვლილება, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ დაგეგმილი, აღმოჩნდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც არა თუ შუა გაიკრიფა, არამედ საერთოდ ახლო-მახლო შეიძლებოდა ყოფილიყო სახელისუფლო პოლიტიკურ ძალასთან, იყო მიჭირხვნილი, მიჯირყვნილი და შედეგიც სახეზეა. ფაქტიურად ორსუბიექტიანი პარლამენტი მივიღეთ. განსხვავება წინა პარლამენტისგან კიდევ უფრო დასაფიქრებელია.

***— რატომ არის დასაფიქრებელი?***

— რადგან ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და, უპირველეს ყოვლისა, ამ პარტიის მამამარჩენალმა, მოახერხა არა მხოლოდ პარლამენტის, არამედ სახელმწიფო კონსტიტუციის პრივატიზაცია! ასეთ ვითარებაში მეტი დაფიქრებაა საჭირო, განსაკუთრებით მათი მხრიდან, ვინც არ დაკარგა სურვილი სამომავლოდ არჩევნებში მონაწილეობისა. სურათი, რომელსაც ვაკვირდებოდით, არანაირი სცენარის მიხედვით არ ვითარდებოდა. თითოეული პოლიტიკური ლიდერის განდგომა პოლიტიკური სივრციდან, იყო განსხვავებული და გასაკვირიც.

***— მარცხმა შეაშინაო. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— არა, მე ასე ვერ ვიფიქრებ, იმიტომ, რომ



მშიშარა პოლიტიკოსი თავიდანვე არ გაყოფდა დამარცხების ყულფში თავს. თუმცა განსხვავებული შინაარსი შევამჩნიე ბატონ ალასანიასა და ბატონ უსუფაშვილის განცხადებებს.

***— რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ იმას, რომ ბატონ ალასანიას გამონათქვამებში ვიგრძენი განწყობა — მე მივდივარ! ხოლო უსუფაშვილის იმავე ტექსტით გამოთქმულ ფრაზებში ამოვიკითხე — მე მოვდივარ! აი, ეს განსხვავება არსებობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები.

***— საუბარია, რომ უსუფაშვილი ძლიერ ოპოზიციურ ცენტრს ქმნისო.***

— ამის გამორიცხვა ძნელია. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, თუ ბატონმა დათომ გადაწყვიტა ახალი პოლიტიკური სუბიექტის შექმნა, ეს იქნება სერიოზული და არა რაიმე არასერიოზული მცდელობა. ყველაზე აქტუალური, რაც მეხუთე წლის განმავლობაში ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალისთვის იკვეთება, დაუოკებელი ლტოლვაა პრეზიდენტის და მისი ინსტიტუტის მიჭირხვნის.

***— სანამ პრეზიდენტის ინსტიტუტზე გადავალთ, თქვენ ბრძანეთ, რომ კონსტიტუცია პრივატიზებულიაო, რატომ ფიქრობთ ასე?***

— ეს შემთხვევითი მოვლენა არ გახლავთ. დიახ, ეს არის ვიღაცის ოცნების ასრულება. ამ ქვეყანაში ოცნებების ასრულება მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია.

***— რას იტყვით პრეზიდენტის ინსტიტუტზე? საუბარია, რომ ყოველთვის იყო მცდელობა, რომ ეს ინსტიტუტი დაეკნინებინათ. ასეა?***

— ამ ინსტიტუტის დაკნინების წერტილი გახლავთ ის დღე, როდესაც, 2013 წლის დამლევს, ჩვენი ქვეყნის კადრებთუხუცესის მიერ სატელევიზიო სივრციდან ვიხილეთ დაუფარავი ჟინი, მისივე წარდგენილი კანდიდატურის ჩამოშორებისა. 2013 წლამდე ბატონი ბიძინასთვის სრულიად მიუღებელი იყო საკითხი, რომ პრეზიდენტი პარლამენტს აერჩია, ის ძლიერი პრეზიდენტის მომხრე იყო.

***— რა შეიცვალა?***

— ძირითადი ცვლილება გახლდათ ის, რომ თურმე ჩვენი პრეზიდენტი არ ექვემდებარება ვინმეს მიერ პრივატიზებას, რისი იმედიც ვიღაცაში არსებობდა. ახლა დადგა დრო, როცა ჩვენი კონსტიტუცია ილლიაში აქვთ ამოდებული წამყვან ფიგურებს. სწორედ ეს იქნება 2017 წლის მთავარი საკონსტიტუციო გამოწვევა. კარგია, რომ ამ საკითხში ჩართულები არიან არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ახალბედა პოლიტიკოსები, არამედ გამოცდილი ვახტანგ ხმალაძეც, რომელიც ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ უნდა იქნეს არჩეული და რომელსაც სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითები მოჰყავს. თუმცა იმას არ ამბობს, ჩვენს ქვეყანას რა საერთო აქვს ასეთ განვითარებულ ქვეყნებთან. ნუთუ იქაც ერთი მილიარდერის გუნებაგანწყობაზეა დამოკიდებული მთელი პოლიტიკური პროცესები?!

***— როდესაც 2016 წლის მოვლენებს ვაფასებთ, ექსპერტთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ მთავარი უარყოფითი მოვლენა იყო ლარის ფაქტორი. გაუფასურებული ეროვნული ვალუტა. ეკონომიკურ მხარეებზე რას იტყოდით?***

— მიუხედავად დღევანდელი რეალობისა, ჩვენი ეკონომიკის ასეთი დაკნინების ძირითადი მიზეზი გახლავთ, სრულიად უკუღმა გაგებული ურთიერთობა პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის. საძირკველი არის ეკონომიკა, ხოლო ზედნაშენი არის პოლიტიკა! ჩვენთან ყველაფერი თავდაყირაა. ჩვენი ეკონომიკა ზედმეტად პოლიტიზებულია არცთუ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ჯგუფის მიერ და, სამწუხაროდ, ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკის ავთვისებიანი სიმსივნე. ამ პროცესს ჩვენ ვაკვირდებით მართლმსაჯულების სისტემაში. ახლა სრულიად მკაფიო საფრთხის წინაშეა მედია სივრცეც.

***— ბატონო სოსო, კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ არ არის გამორიცხული, სერიოზული ცვლილებები ვიხილოთ ეკონომიკურ გუნდში. ასევე საუბარია კვირიკაშვილის ცვლილებაზეც. როგორ ფიქრობთ, შეცვლიან პრემიერ-მინისტრს?***

— პარალელი შემიძლია გავავლო კვირიკაშვილის წინაშე ჩამოყალიბებულ საფრთხესა და იმ საფრთხეს შორის, რომელმაც გადაიყოლა პაატა ბურჭულაძე.

***— რა აქვთ საერთო?***

— ეს გახლავთ დათვური სამსახური მათ მიმართ, იმ სუბიექტების მხრიდან, რომლებიც ატარებენ გამოკვლევებს. როდესაც აირაიმ გამოაცხადა, რომ თურმე პოპულარობა და ნდობა ბურჭულაძისა იყო 70%-ზე მეტი, ხოლო ბატონი ივანიშვილისა, სადღაც 22%-ის ფარგლებში, მაშინვე ამუშავდა მის წინააღმდეგ ძლიერი მანქანა. დღეს, როდესაც ვხედავთ, რომ კვირის პალიტრის გამოკითხვის მიხედვით, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირველესი ადამიანი 2016 წლისა, გახლავთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მეორე არის ბატონი კვირიკაშვილი და მესამეა ბატონი ივანიშვილი, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საკითხი არ იყოს საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ჩაფიქრებისა ამ თემაზე.

***— ივანიშვილი ვერ იტანს მასზე პოპულარულ ადამიანებს?***

— ჩვენი კადრებზხუცესისთვის ნაკლებად მისაღებია თანამშრომლობა პოპულარულ და წარმატებულ ადამიანებთან, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ სიმპათია ჩვენი მოსახლეობისგან, მით უმეტეს, თბილისელებისგან. რომელი ერთი მიჭირხვნილი თბილისელი გავიხსენო, სრულიად უდანაშაულო. საწყისი, მთავრობის სათავეში ბატონი კვირიკაშვილის მოყვანისა, იყო ძალიან პოზიტიური ნაბიჯი. მას ნამდვილად ახასიათებს ყველა ის სიკეთე, რომელიც არაერთხელ წარმოუთქვამს თავად ბატონ ბიძინას, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვამაც თუ აქო მის მიერ შექებული, ეს მისთვის სასიამოვნო არ არის. ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, თუ დღევანდელი ფინანსთა მინისტრი ჩაანაცვლებს გიორგი კვირიკაშვილს.

***— ფიქრობთ, რომ მას ვიხილავთ პრემიერად?***

— ამაზე ზოგ-ზოგიერთები აქტიურად საუბრობენ და წერენ. ეს ნამდვილად იქნება კომიკური ვითარება, თუმცა ჩვენ იმასაც ვხვდებით, რომ რაიმე მაღალი თანამდებობის დაკავების უფლება აქვთ მხოლოდ შპს ქართუში ნამუშევარ და იქ გამოცდილ კადრებს.

***— ანუ სახარბიელო წელი არ გველოდება?***

— თუ განხორციელდა ის ოთხპუნქტიანი პროგრამა, რომელიც წარმოადგინა მთავრობამ, თუ ჩვენი მთავრობა უფრო საქმით დაკავდება, ვიდრე ყველა რეპლიკაზე ხანგრძლივი პასუხით, ვფიქრობ, იქნება მეტი შედეგი. ცოტა მეტი სიმტკიცეც მართებთ, იდეა, რომელსაც წარმოთქვამენ მაღალი ტრიბუნიდან, მეორე დღეს არ უნდა იყოს უარყოფილი. ასევე თავისმმართლებლის როლში არ გამოდიოდეს პრემიერ-მინისტრი და ვურჩევდი, რომ მან დროულად მოიძიოს პროფესიონალი კადრი საკუთარ პრესმდივნად. დროა, ისწავლონ საზოგადოებასთან ურთიერთობა.

# გაერთიანდებიან თუ არა მარგველაშვილი და უსუფაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

გაზაფხულიდან ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების გამოცოცხლებას ელოდებიან. გავრცელებული ინფორმაციით, პროდასავლური პარტიები გაერთიანებას აპირებენ. რამდენიმე კვირის წინ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ასეთი გაერთიანების ლიდერი, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს.

მისივე ინფორმაციით, ამ გაერთიანებაში ყოფილ რესპუბლიკელებს და ეროვნულ ფორუმსაც ვიხილავთ. ყოფილი რესპუბლიკელები რომ უქმად არ დასხდებიან, ეს ყველამ იცის. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს.

გავრცელებული ხმების მიხედვით, ახალი პარტია საქართველოს პრეზიდენტთანაც ითანამშრომლებს. მეორე ვერსიით კი ახალი პარტია ბიძინა ივანიშვილთან იქნება დაკავშირებული. როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში უსუფაშვილი ივანიშვილს რამდენჯერმე შეხვდა.

ახალი პარტიის შექმნაზე რომ ბევრს ფიქრობს, ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც ისაუბრა. მისი თქმით, ახალ პოლიტიკურ პროექტზე თანამოაზრეებთან და პოლიტიკურად არცთუ აქტიურ ადამიანებთან ერთად, ბევრს საუბრობს.

— ჩვენი მთავარი ამოცანა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატება ანუ სახელისუფლო კოალიციაში შესვლა იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ამ მთავარ ამოცანას — საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას შეუწყობს ხელს ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში. გვაქვს გათვლა, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ პიკს არჩევნებამდე წელიწადნახევრით ადრე მიაღწიოს, ბოლო წელიწადნახევარი კი აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას ვგეგმავთ.

ვინც ამ პოლიტიკურ პროექტს შემოუერთდება, მზად უნდა იყოს შავი და უმადური საქმის გასაკეთებლად — ჯერ კარგად გავარკვიოთ, რისთვის გვინდა ხელისუფლებაში მოსვლა და მერე დავსვათ კითხვა, თუ როგორ უნდა გავიმარჯვოთ არჩევნებში, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას ის თებერვლიდან აპირებს, ამასთან, ამბობს, რომ მისი პარტია არც თებერვალში დაფუძნდება და არც — მარტში.

უსუფაშვილის თქმით, თებერვალში საზოგადოებას მოქმედების კონკრეტულ გეგმას, პრიორიტეტებს და პრინციპებს გააცნობენ.



პრიორიტეტების და გეგმების გაცნობამდე მან ერს სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა. პარლამენტის ექსსპიკერი პრეზიდენტის გადადგომაზე ალაპარაკდა.

მისი აზრით, მარგველაშვილმა პოსტი შესაძლოა პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილებების გამო დატოვოს.

— თუ „ქართულმა ოცნებამ“ ერთპიროვნულად გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით უნდა აირჩეს, ცვლილებების საარჩევნო სისტემაში ოფიციალურად გაფორმებამდე, კონსტიტუციით მინიმუმ სამი თვეა განსაზღვრული. რატომ არ უნდა გავთვალოთ, რომ შესაძლოა პრეზიდენტმა ასეთ ვითარებაში, თანაც იმ ფონზე, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ერთი წელი რჩება, ქართველ ხალხს მიმართოს — „ოცნება“ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლებას გართმევთ, მე უძლური ვარ, ამ ცვლილებებს წინააღმდეგობა გავუწიო, თუმცა გადავდგები და სანამ ცვლილებები ძალაში შესულა, გაძლევთ შანსს, პრეზიდენტი კიდევ ერთხელ აირჩიოთ და კიდევ ხუთი წელი – 2022 წლამდე გყავდეთ თქვენ მიერ არჩეული პრეზიდენტი. ამასობაში, 2020 წელს თავად პარლამენტია ხელახლა ასარჩევი და ვნახოთ, ის მომავალი პარლამენტი წაგართმევთ თუ შეგინარჩუნებთ თქვენი პრეზიდენტის ყოლის უფლებასო, – ამბობს უსუფაშვილი.

მისი თქმით, თუ მარგველაშვილი გადადგება, კონსტიტუციით დადგენილ 40 დღეში ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს. ნასპიკერალის ვარაუდით, ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა შესაძლოა „ქართულ ოცნებას“ სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

— თუ ასეთ პირობებში გიორგი მარგველაშვილი ან ვინმე სხვა — არასახელისუფლო კანდიდატი — არჩევნებში გაიმარჯვებს, მომავალი პრეზიდენტი, პოლიტიკური წონის თვალსაზრისით, სერიოზული ფიგურა გახდება. შესაბამისად, „ოცნებამ“ შეიძლება მიიღოს გაცილებით ძლიერი პრეზიდენტი და პოლიტიკური პრობლემებიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყება, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები ბიძინა ივანიშვილთან დადიან კონსულტაციებზე“

## გიგლა ბარამიძე: „კვირიკაშვილს ამერიკის ელჩი რაღაც დავალებებს აძლევს“

შორენა მარსაგიშვილი

რაზე უნდა აგოს პასუხი მოსახლეობამ, რა ხდება სახელისუფლებო კულუარებში, ვისგან ღებულობს დავალებებს პრემიერი, ნაციონალების რომელი ფრთა დადის ივანიშვილთან მოლაპარაკებებზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– ბატონო გიგლა, ოპოზიცია და ექსპერტები ამტკიცებთ, რომ 2017 წელი საქართველოსთვის უმძიმესი იქნება. ხელისუფლების განცხადებით კი ქვეყნისთვის ძალიან მაგარი წელი დადგა. ვის უნდა დაუჯეროს ხალხმა?***

– სანამ ამ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო სრულიად საქართველოს, მის მოსახლეობას, დროებით ჩვენგან მოწყვეტილ აფხაზეთს, სამაჩაბლოს და ჩვენს ემიგრანტებს, რომელთა რიცხვმა უკვე მილიონს გადააჭარბა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ამ საზეიმო დღეებში მხოლოდ დადებითზე ვისაუბრო, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების უმოქმედობა ამის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი ხელისუფლება სამარცხვინოდ არის გადავარდნილი ნარცისიზმის უკანასკნელ სტადიაში – ავტოეროტიზმში. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სამყაროში არიან და საკუთარი თავის გარდა არაფერი აღარ აინტერესებთ. ამას სხვანაირად ჩაჩნების ალღუმიც ჰქვია. თავად რომ კარგად არიან, ჰგონიათ, რომ მოსახლეობაც ასე ცხოვრობს. რაც შეეხება მაგარ წელს, მაგარი წელი რომ მოიყვანო, საქმის კეთება უნდა იცოდე. ესენი კიდევ სისულელეს სისულელეზე ბჟუტურობენ. პატრონი თუ არა გყავთ, კეთილისმსურველი მაინც არ დაგრჩათ ვინმე, რომ გაჩუმება გირჩიოთ? ამათი ნაბჟუტურები რომ შევკრიბოთ, ერთი კარგი სიბრიყვის კონა გამოგვივა.

მე მაგარი წლისა არ მჯერა და ამ შეფასების გაკეთება ოპოზიციონერობის გამო რომ არ დამბრალდეს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ფრაზას გამოვიყენებ. მას ჟურნალისტმა ჰკითხა, როგორ არის ქართული ეკონომიკის საქმეო, პასუხი ასეთი იყო, საქმე შავად არის.

***– რევაზ არველაძის შეფასებაზე საუბრობთ?***

– დიახ, ეს შეფასება „ქართული ოცნების“ დეპუტატმა რევაზ არველაძემ გააკეთა. როცა უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ამას ამბობს, იქ რამის დამატება საჭირო აღარ არის. აშკარაა, როგორი მაგარიც იქნება 2017 წელი.

რაღაცას მაინც დავამატებ და ვიტყვი, რომ მე იმ ხელისუფლების რა ვთქვი, რომელსაც ბიუჯეტის შესავსებად ქართული მიწების გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი.

ქართული მიწების გასხვისების ფონზე საერთოდ აღარ ახსოვთ, რომ დაკარგული ტერიტორიები აქვთ დასაბრუნებელი. ამის ნაცვლად სულ იმას გაიძახიან, შევალთ თუ არა ნატოში. ამასთან დაკავშირებით ოპოზიციონერმა დეპუტატმა ადა მარშანიამ ძალიან კარგი რამე თქვა. მან ხელისუფლებას მოუწოდა, პირველ რიგში სოხუმში შესვლაზე იფიქრეთო.

ესენი კი რაღაც სულელურ რეზოლუციებს ღებულობენ და ამით ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაფარვა სურთ. ეს არ გამოგივათ, ამის უფლებას თქვენ ხალხი და ოპოზიცია არ მოგცემთ. ეტყობა, ამათ არ უნახავთ, რა არის ნამდვილი პროტესტი და ამიტომაც არიან ასე მშვიდად. მე „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთან შეხვედრაზე ვისაუბრე. ამ ადამიანს როცა ვკითხე, რატომ იქცევით ასე, ხალხის პროტესტის არ გეშინიათ, მითხრა, რაც არ უნდა მოხდეს, ხალხი მაინც არ გამოვა ქუჩაშიო. ამის იმედით არიან, მაგრამ ხალხი აუცილებლად გამოვა.





## „ზოგიერთ ოპოზიციონერს ვალები დაუფარეს, ზოგს სახლი უყიდეს“

***– ამბობთ, ეტყობა, არ უნახავთ, რას ნიშნავს ნამდვილი პროტესტიო და ოპოზიციური პარტიები რაიმე საპროტესტო აქციებს აპირებთ?***

– როდესაც ოპოზიციაზე ვსაუბრობ, მხედველობაში ის ოპოზიცია მყავს, რომელიც არავის არ ემსახურება. მე არ ვგულისხმობ იმ ოპოზიციას, რომელიც ერთი საგანივით ცხრაასჯერ გამოყენებადია და სიტუაციის მიხედვით ჭიკჭიკებენ. მე ძალიან კარგად ვიცი სუბორდინაცია და ვიცი, რას ფიქრობს ჩვენი პარტიის ლიდერი, აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მერე ნახეთ, როგორ გამოვა ხალხი ქუჩაში.

***– ხალხის გამოყვანას მარტო დემოკრატიული მოძრაობა აპირებს თუ სხვებთანაც იქნება კონსულტაციები?***

– ასე თუ გაგრძელდა, ხალხს აუცილებლად გამოვიყვანთ. შეუძლებელია უკვე იმის ატანა, როგორ ინგრევა ეს ქვეყანა. ვერ ელირსებიან სახელმწიფოს განადგურებას. ისე მივადგებით, რომ გასწრებასაც ველარ შეძლებენ. ამის გარანტიას ვაძლევ ხელისუფლებას. იმის იმედი ტყუილად აქვთ, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოვა. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ხალხი აღარ მოითმენს. ნამდვილი ოპოზიციის სიმკვეთრე მაგათ ჯერ არ უნახავთ.

ამათ, იცით, როგორ ოპოზიციასთან აქვთ საქმე? რაღაცაზე ახმაურდებიან, მერე დაელაპარაკებიან. ესენიც გვერდზე გაიყვანენ და ჯიბეში რაღაცას ჩაუდებენ – ზოგს ვალებს გაუსტუმრებენ, ზოგს სახლს უყიდიან, ზოგს კი ანგარიშს გაუხსნიან. თავის დროზე ასე მოქმედებდა ნაციონალური მოძრაობაც. ჩვენ, დემოკრატიული მოძრაობა, ყოველთვის პრინციპულები ვიყავით, არასდროს გავყიდულვართ და თუ საჭიროა, ქუჩის ოპოზიციაც გავხდებით, რომელიც ხალხის ინტერესებით არ ივაჭრებს. სიმკვეთრე როგორი უნდა, ჩვენ დავანახებთ ყველას.

***– სიმკვეთრე როგორი უნდა, ჩვენ დავანახებთო, ეს ფრაზა უკვე რამდენჯერმე ახსენეთ და რაიმე განსაკუთრებული აქციის მოწყობას ხომ არ აპირებთ?***

– აქცია იქნება ძალიან მკვეთრი, მაგრამ ყველაფერი კანონის ჩარჩოებში მოექცევა. სიმართლე თუ გინდათ, არ მინდა, რომ საქმე ქუჩის აქციებამდე მივიდეს, მაგრამ ამ ხელისუფლებას კოჭებშიც და ყველგან ემჩნევა, რომ არაფრის მაქნისი არ არის. ეს პრემიერი გამოდის და იძახის, ძალიან მაგარი წელი იქნებაო, წელი რომ მაგარი იყოს, პრემიერი და მისი გუნდიც მაგარი უნდა იყოს და ესენი კი მაგრები არ არიან.

***– პრემიერზე ჩამოვარდა საუბარი და თქვენ პირველი იყავით, რომელმაც თქვით, რომ სახელისუფლებო კულუარებში კვირიკაშვილის შემცვლელის ძებნაზე აქტიურად საუბრობენო. ეს ინფორმაცია მოგვიანებით სხვებმაც დაადასტურეს. ამ პროცესზე რაიმე დამატებითი ინფორმაცია ხომ არა გაქვთ?***

– დამატებითი ინფორმაცია ის არის, რომ ამ თემაზე ძალიან აქტიურად მიდის მუშაობა და რამდენიმე ვარიანტი მოამზადეს უკვე. მე მათ გვარებს ახლა შეგნებულად არ დავასახელებ. დიდი ეჭვი მაქვს, რომ კვირიკაშვილის შეცვლით, ქვეყანაში რაიმე შეიცვლება. შემცვლელიც თუ კვირიკაშვილივით მიუდგა საქმეს, მაშინ რა აზრი აქვს მის შეცვლას!

***– გამოდის, პრემიერის შეცვლას აზრი არა აქვს?***

– მიდგომა თუ არ შეიცვალა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მთავრობის მეთაური. საქმის გამოსწორება თუ გვინდა, მაშინ სისტემა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მაკეინმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა?

## ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთი „ქართულ ოცნებას“ ვირეშმაკობაში ადანაშაულებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ჩამოვიდა საქართველოში სენატორი მაკეინი, რა კავშირი აქვს ამ ვიზიტს პუტინის განცხადებასთან, რა სარგებლობას ვნახავთ რუსეთის და დასავლეთის დაპირისპირებით? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***– საქართველოში ამერიკელი სენატორის მაკეინის ჩამოსვლას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თქვენი აზრით, რატომ ჩამოვიდა ის საქართველოში? ერთ-ერთი ვერსიით, მან ჩვენს ხელისუფლებას რაღაც ინსტრუქციები მისცა.***

– 2017 წელი ძალიან საინტერესოდ დაიწყო, წინ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები გველოდება და მჯერა, რომ საქართველოსთვის ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეეხება მაკეინს, ის სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, ესტონეთსა და უკრაინას სტუმრობდა.

ჩვენს მოსახლეობას კარგად მოეხსენება, რომ ის წონიანი, გავლენიანი და ავტორიტეტული პოლიტიკოსია ამერიკაში. ამის გარდა, მას საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს. ვინმეს თუ იმის იმედი აქვს, რომ მისმა მატარებელმა ჩაიარა, ძალიან შემცდარა. მაკეინის ტიპის შემტევი პოლიტიკოსები დემოკრატებშიც მრავლად არიან და რესპუბლიკელებშიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასეთი კატეგორიის პოლიტიკოსებად ძირითადად ახალგაზრდები ითვლებიან.

ახალგაზრდებს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ვიღაცები ამტკიცებენ, თითქოს მაკეინის თაობის წასვლის შემდეგ, რუსეთის მიმართ პოლიტიკა შეიცვლება. ამის იმედი ტყუილად აქვს ვინმეს – აშშ თავის პარტნიორ ქვეყნებს არ მიატოვებს.

ჩვენი აზრით, მაკეინი ესტონეთში ამ ქვეყნის ხელისუფლების განწყობის გასაცნობად ჩავიდა. მას ასევე აინტერესებს უკრაინაში მიმდინარე პროცესები და იქაური პოლიტიკოსების განწყობები. საქართველოშიც ხელისუფლების განწყობის მოსასმენად ჩამოვიდა. ამის გარდა, მან ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებს თავისი მოსაზრებებიც გააცნო და მხარდაჭერაც აღუთქვა.

***– ინსტრუქციების მიცემაზე რას ფიქრობთ, ასეთ რამეს არ ექნებოდა ადგილი?***

– შარშან გავლენიანი დასავლური პოლიტიკური ჯგუფები ხმამაღლა ალაპარაკდნენ საქართველოს ხელისუფლების თამაშზე. ეს თამაში მათ მიერ ვირეშმაკობად იქნა აღქმული. დასავლეთში ეჭვობენ, რომ საქართველო რუსეთსა და ევროპას შორის არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობს. მაკეინი იმ პოსტსაბჭოური ქვეყნების მეგობარია, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძვიან, ის პირადად დაინტერესდა ამ საკითხით.



ჩვენი აზრით, ის იქიდან ინსტრუქციებს არ ჩამოიტანდა. ამ ეტაპზე აქედან უნდა წაიღოს ხელისუფლების განწყობები. ამერიკაში ძალიან აინტერესებთ, რას ფიქრობს საქართველოს ხელისუფლება. არც ისაა გამორიცხული, რომ მაკეინმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა.

პოლიტიკა ქვეტექსტების ენაა. ამ სფეროში პირდაპირი თითის ქნევით მხოლოდ რუსები ლაპარაკობენ. აქედან გამომდინარე სენატორი თითს არავის დაუქნევდა, მაგრამ თავის პოზიციას აუცილებლად დააფიქსირებდა.

***– ამ ვიზიტს წინ პუტინის განცხადება უძღოდა. რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ კრემლი მზადაა, საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა განაახლოს. ამასაც ხომ არ უკავშირდება მაკეინის სტუმრობა?***

– ეს ვიზიტი უფრო ადრე დაიგეგმა, მაგრამ პუტინის განცხადებაზეც იქნებოდა აუცილებლად საუბარი. აშკარაა, რომ კრემლი დასავლეთის პარალელურად აქტიურობს. დასავლეთი ალაპარაკდა თუ არა ვიზალიბერალიზაციაზე, პუტინმაც უვიზო მიმოსვლის აღდგენაზე დაიწყო საუბარი. კრემლს იმედი აქვს, რომ საქართველოში ევროპას კონკურენციას გაუწევს.

დასავლეთი თუ კიდევ უფრო წინ წავა საქართველოს დასახმარებლად, პუტინი კიდევ უფრო მეტ ნაბიჯს გადადგამს. ჩვენმა გმირმა წინაპრებმა ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა დაგვიტოვეს, რომ რაც უფრო მეტად დაუპირისპირდება რუსეთი დასავლეთს, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის. რაც უფრო დაუახლოვდებიან ირანი და თურქეთი რუსეთს, მით მეტი ფასი დაედება კავკასიას და საქართველოს.

ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ მიდის, ახლა ჩვენ მხოლოდ პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ.

***– რა მიმართულებით უნდა გამოვიჩინოთ პრინციპულობა?***

– ისტერიკისა და გართულებების გარეშე უნდა შევინარჩუნოთ არსებული საგარეო კურსი. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა და ჩვენ გვინდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია. დარწმუნებული ვარ, მაკეინი ამ თემაზეც ისაუბრებდა. წინ საინტერესო მოვლენები გველოდება და ახლა საბოლოოდ გამოჩნდება, ვინ არის ამ ქვეყნის პატრიოტი და ვინ – მოღალატე.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ბოკერიას დაუნდობლად ექცევა“

## გიგა ბოკერია თუ პოლიტიკაში დარჩება, მაშინ მას მოუწევს სულ სხვა სტრატეგიის შერჩევა. პირველ რიგში, დამოუკიდებლად თამაშის დაწყება

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის ის პოლიტიკოსი, რომელიც ასე მარტივად შეეგუება მის იგნორირებასა და დისტანცირებას პარტიისგან და ამიტომაც დაიწყო, რაც დაიწყო.

***– ბატონო რამაზ, 20 იანვარს ნაციონალური მოძრაობა პარტიის ყრილობას გამართავს. თუმცა, მასში მონაწილეობას არ მიიღებს პარტიის ერთი ნაწილი, მეტიც, ისინი ყრილობის არალეგიტიმურობაზე საუბრობენ. შეიძლება ეს ყრილობა დასრულდეს ნაციონალური მოძრაობის ორად გაყოფით?***

– ეს უკვე არის ჭიდაობა, ვინ, ვის მოერევა.

***– და ვინ მოერევა?***

– 20 იანვარს გაირკვევა.

***– აშკარაა, ერთ მხარეს არის გიგა ბოკერია და მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილი.***

– უკვე სახეზეა, რომ გიგა ბოკერიას და მის გუნდს მოუწევს ნაციონალური მოძრაობიდან წამოსვლა, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს სხვებმა, ცხადია, ვგულისხმობ ზურაბ ჯაფარიძეს, გიორგი ვაშაძეს და სხვებს. გიგა ბოკერიას მოუწევს ნაციონალური მოძრაობის გარეშე, დამოუკიდებლად გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება.

***– რამდენად შეძლებს? იქნება წარმატებული?***

– შეძლებით შეძლებს, მაგრამ რამდენად იქნება წარმატებული, მისი პოლიტიკური კარიერა სად დამთავრდება თუ გაგრძელდება, რამდენად შეძლებდა დამოუკიდებლად თუნდაც ახალ პარლამენტში შესვლას?! ეს უკვე სხვა საკითხია.



თუმცა, ბოკერია უდავოდ არის ნიჭიერი პოლიტიკოსი და მას შესწევს უნარი, რომ მოზაიკა კარგად დაალაგოს.

***– როგორ ფიქრობთ, ამ პროცესების ინსპირატორი რა გახდა? სააკაშვილი ბოკერიას პირდაპირ სდებს ბრალს ივანიშვილთან გარიგებაში.***

– სააკაშვილის ეს ნაბიჯი სრულიად გასაგებია, ეს არის პიარსვლა, რომ გააშავოს ბოკერია და ყველაზე მიუღებელი ბრალი წაუყენოს, მიუღებელი როგორც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებისთვის, ისე ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის. სააკაშვილი ამ შემთხვევაში ბოკერიას დაუნდობლად ექცევა და მტერთან გარიგებაში ადანაშაულებს. ასეთია მისი რიტორიკა. თუმცა, რეალობა სულ სხვა არის.

***– რა არის რეალობა?***

– რეალობა არის ის, რომ მთელი ამ პროცესების მთავარი ფიგურანტი სწორედ თვითონ სააკაშვილია. ის არის მიზეზი, რომ მოვლენები ასე განვითარდა. როდესაც სააკაშვილმა არჩევნები წააგო, მისი გაგებით, მან თქვა, მე კი არ წამიგია, ოლიგარქიულმა, რუსულმა ფულმა მომიგოო. ასევე კარგად ვნახეთ, თუ როგორ გაიშვირა თითი სხვებისკენ და მათ გადააბრალა არჩევნების წაგება. ასევე გვახსოვს რევოლუციური სცენარის სურვილები და ა.შ. თუმცა, დღეს მიზეზებს სხვაგან ეძებს.

სააკაშვილის ეს განცხადებები არ არის ობიექტური ანალიზის მწვერვალი და ამიტომ მისი განცხადებებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება მაინც და მაინც მართებული არ მგონია, არც კი ღირს ამაზე დროის დახარჯვა. რასაკვირველია, მიხეილ სააკაშვილი არ არის ის პოლიტიკოსი, რომ ასე ადვილად შეელიოს პარტიასთან დისტანცირებას, მეტიც, მის იგნორირებას, ამიტომაც დაიწყო ის, რაც დაიწყო.

***– პარტიის მეორე ნაწილს ჰქონდა მცდელობა, რომ სააკაშვილი ჩაეჩოჩებინა?***

– ალბათ, ეს კარგად იყნოსა სააკაშვილმა და დაიწყო ის, რომ გარდაუვლად გაიყოფა ნაციონალური მოძრაობა ორად. პოლიტიკაში უმთავრესი რა არის? რომ შენი აზრი გაიტანო, ამას ცდილობდა გიგა ბოკერია, მაგრამ ამის უფლება არ მისცა სააკაშვილმა. ამაში გასაკვირი და უცნაური არაფერია. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ებრძვიან ერთმანეთს ადგილის მოპოვებისთვის.

***– თუ სააკაშვილისგან დისტანცირებისთვის იბრძვის?***

– თუ სააკაშვილისგან დისტანცირებისთვის იბრძვის, მაშინ აქამდე სად იყო?! ის რაც მიუღებელია ახლა, რატომ არ იყო აქამდე მიუღებელი? ეს კითხვები აუცილებლად გაიჟღერებს და მისი ადრესატი აუცილებლად იქნება ბოკერია. შეიძლება ითქვას, რომ ბოკერიამ დააგვიანა საიმისოდ, რომ ამ ბრძოლამ მას ის შედეგი მოუტანოს, რაც პოლიტიკოსს ყოველთვის სჭირდება.

***– როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ პარტიულ ლიდერებს მოუწიოთ ჩემოდნების ჩალაგება და სახლში წასვლა, მით უფრო, ეს არ არის უცხო ზოგადად პოლიტიკისთვის, პოლიტიკაში დარჩენა არ არის ყოველთვის აუცილებელი. ბევრ პოლიტიკურ ლიდერს ჩაულაგებია ჩემოდანი და ჩუმად წასულა სახლში.

***– ბატონო რამაზ, ვისზე მიანიშნებთ?***

– ამ შემთხვევაში კონკრეტულად არ ვსაუბრობ. რაც შეეხება გიგა ბოკერიას, თუ ის პოლიტიკაში დარჩება, მაშინ მას მოუწევს სულ სხვა სტრატეგიის შერჩევა. პირველ რიგში, დამოუკიდებლად თამაშის დაწყება და შემდეგ ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა, მათ შორის, არცთუ შორეული წარსულისთვისაც.

# „წლევანდელი წელი საქართველო-ნატოს ურთიერთობებში დატვირთული იქნება“




– წლევანდელი წელი საქართველო-ნატოს ურთიერთობებში დატვირთული იქნება. ნატოს 2017 წლის სამიტი ჯერ დაგეგმვის პროცესშია. შეხვედრის ზუსტი თარიღი ამ დროისთვის უცნობია, ისევე, როგორც დადგენის პროცესშია საბოლოო ფორმატი.

ასეთი განცხადება გააკეთეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში 2017 წლის ნატო-ს სამიტში საქართველოს მონაწილეობის თემის კომენტირებისას.

უწყების განმარტებით, ამ ეტაპზე, ნატოს ხედვაა, რომ სამიტი იქნება დახურული არაწევრი ქვეყნებისთვის, და, შესაბამისად, შეკრებაში მონაწილეობას მხოლოდ ალიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები მიიღებენ.

– ქართული მხარე ესაუბრა ნატოს გენერალურ მდივანს, თუ რამდენად შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 2017 წლის სამიტში. იმ შემთხვევაში, თუკი სამიტის ამ დრომდე არსებულ ფორმატში კორექტირება შევა, შეკრებაში მონაწილეობას ქართული მხარეც მიიღებს, – აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, წლევანდელი წელი საქართველოსა და ნატოს ორმხრივ ურთიერთობებში ძალიან დატვირთული იქნება.

– ველოდებით რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტს. საქართველო ნატოს სამხედრო კომიტეტს უმასპინძლებს. საპარლამენტო ასამბლეის გაზაფხულის სესია თბილისში ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობის მიღებას გენერალური მდივანიც გეგმავს.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ნატოს საპარლამენტო ასამბლეა თავის სესიას პარტნიორ ქვეყანაში ჩაატარებს. გარდა ამისა, ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში გაიმართება მაღალი დონის შეხვედრები სხვადასხვა თემატიკაზე, – განაცხადეს მთავრობის ადმინისტრაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

# კვირიკაშვილი: „ჩვენ ამას ერთად შევძლებთ“



როგორც მთავრობის მეთაურმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, ძალა არის მხოლოდ ერთობასა და მოქმედებაში, ამიტომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ, როგორც ერთი ძლიერი ოჯახი, მეტად უნდა მოვუსმინოთ ერთმანეთს.

– მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენს ხალხს აქვს განსაკუთრებული თვისება, გამოიყენოს თითოეული ასეთი შესაძლებლობა, რათა თავისივე ხელით, რეალობად აქციოს საკუთარი ოცნებები და მიზნები. ამ შესაძლებლობების გამოყენებით კი, ჩვენ ერთად ვიქნებით უფრო ძლიერები ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, ჩვენი შვილებისთვის, ჩვენი მშობლებისათვის და მოხუცებისთვის, ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეებისთვის, ჩვენი ემიგრანტებისათვის, ჩვენი ძალიან საამაყო ჯარისკაცებისთვის.

ჩვენ ერთად შევძლებთ, რაც შეიძლება სწრაფად გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ და მეტი წელგამართული ოჯახი გვყავდეს. მე ზუსტად ვიცი, რომ დადგება დღე, როცა ვიტყვით – ჩვენ ეს ერთად შევძელით და ერთმანეთისთვის წარმატების უამრავი ისტორია გვექნება მოსაყოლი.

დიახ, ახალი წელი არ გვცვლის ჩვენ – ჩვენ ერთად შევძლებთ შევქმნათ განვითარების, შედეგების, განსაკუთრებული წარმატებების ახალი წელი. გილოცავთ 2017 წლის დადგომას. უფალი გფარავდეთ თქვენ, თქვენს ოჯახებს და მთელ საქართველოს! – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნაციონალები ბიძინა ივანიშვილთან დადიან კონსულტაციებზე“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

უნდა შეიცვალოს. შესაცვლელია მთავრობის შემადგენლობის დაკომპლექტების წესიც. მე დანამდვილებით ვიცი, რომ მთავრობაში ცვლილებები იქნება, მაგრამ ქვეყანაში არაფერი არ შეიცვლება.

ამ ხელისუფლებამ ხალხი ბევრჯერ მოატყუა, მაგრამ ლარის კურსთან დაკავშირებით ძალიან სამარცხვინოდ მოიქცნენ. ხალხს ჰპირდებოდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ეროვნული ვალუტა გამყარდებოდა. ამის გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ, არადა, აშკარად ჩანდა, თუ ვინ მოიგო ამით. მოგება საფინანსო ორგანიზაციებმა და ბანკებმა ნახეს. საუბარი ძალიან დიდ მოგებაზეა. ეს ყველაფერი კი ხალხის გალატაკების ხარჯზე გაკეთდა.

ის რაც საქართველოში ხდებოდა და ხდება, არის ფინანსური მაქინაციები. ევროკავშირს რომ გავიძახით, იქ და ამერიკაში ფინანსური მაქინაციების გამო ასეულობით მილიონის ჯარიმები დააკისრეს ბანკებს ფინანსური მაქინაციების გამო. საქართველოში რატომ არ ინტერესდებიან ამით? იქნება აქაც ფინანსურ მაქინაციებთან გვქონდა საქმე. სამწუხაროდ ეს საქმეც ისევე არ აინტერესებთ, როგორც ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

***– ტერიტორიული მთლიანობა არ აინტერესებთო უკვე მეორედ ამბობთ, ეს საკითხი მართლა მიჩუმათებულია და მასზე მხოლოდ ის ძალები საუბრობთ, რომლებიც პრორუსულად ითვლებით. საუბარია თქვენზე და პატრიოტთა ალიანსზე. ეს რაიმე ახალი ტენდენციაა?***

– პრორუსულობას იმიტომაც გვაბრალებენ, რომ ამ თემაზე აღარ ვისაუბროთ. ამათ ჰგონიათ, რომ თუ პრორუსულობას დაგვაბრალებენ, ამ თემაზე ხმას არ ამოვიღებთ. ნურას უკაცრავად. მაგათგან განსხვავებით, ეს საკითხი ჩვენთვის, დემოკრატიული მოძრაობისთვის, მთავარია. ხელისუფლებას კი ამ პრობლემის მოგვარებაზე ჩაქნეული აქვს ხელი. ამას ორი მიზეზი აქვს. თავადაც კარგად იციან, რომ უნიათოები არიან და ვერაფერს ვერ მიაღწევენ. და მეორე, რუსეთთან ვერ დაილაპარაკებენ. კვირიკაშვილი სადმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე რომ შეხვდეს პუტინს, ხომ გული გაუსკდა. ხმასაც ვერ ამოიღებს.

***– რატომ გგონიათ, რომ ხმასაც ვერ ამოიღებს?***

– იმიტომ, რომ დამოუკიდებლად არაფერს არ წყვეტენ. ჩვენი მთავრობა, იცით, როგორ მუშაობს? ამერიკის ელჩი მიდის კვირიკაშვილთან დავალებით. მერე ეს ადის ბიძინასთან, იქ მოილაპარაკებენ რაღაცას. მიღებულ გადაწყვეტილებას თავში უდებენ უმრავლესობის წევრებს და მათ მეშვეობით ახმოვანებენ მორიგ სისულელეებს.

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება და რუსეთთან დიალოგის დაწყება არასამთავრობოებს და ნაციონალებსაც არ სურთ. ოღონდ არა იმის გამო, რომ რუსეთი ოკუპანტია. ეს პრობლემა რომ მოგვარდეს, ხელს ვერავისკენ გაიშვერენ და გრანტებსაც ვერ მიიღებენ დასავლეთიდან.

***– ამბობთ, ნაციონალები სხვისკენ ხელს ველარ გაიშვერენო, სხვისთვის აღარ სცალიათ, ისინი ერთმანეთისკენ იშვერენ უკვე ხელს. ამაზე რას იტყვით?***

– დაუჭამიათ ერთმანეთი! ორად კი არა, კიდევ უფრო მარტივ მამრავლებად დაიშლებიან. ერთი კი არის, 2012 წელს ესენი პოლიტიკურ მოუსავლეთში იყვნენ წასულები და ისევ „ქართულმა ოცნებამ“ გადაუგდო მაშველი რგოლი. ასეთ უნიათო ხელისუფლებას ასეთი დისკრედიტებული და გასვრილი ოპოზიცია სჭირდება საპირწონედ. 2012 წელსაც გადაარჩინეს და ახლაც მჭიდრო კავშირი აქვთ მასთან.

***– მჭიდრო კავშირში რას გულისხმობთ?***

– ჩვენს პარტიას არ გააჩნია მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა, რომ ამათ ვუთვალთვალოთ. რომც გვქონდეს, ამას არც ვიკადრებთ, მაგრამ მოგვდის ძალიან სერიოზული ინფორმაცია, რომ ნაციონალების ერთ-ერთი ფრთა ძალიან ხშირად დადის „ოცნების“ მთლად უფროსთან მოლაპარაკებებზე თუ კონსულტაციებზე.

***– ივანიშვილთან კონსულტაციებზეა საუბარი?***

– ძალიან საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება იმის შესახებ, რომ ნაციონალების ერთი ფრთა, რომელსაც სააკაშვილმა ახირებულები უწოდა, „ოცნებაში“ ყველაზე უფროსთან დადის სასაუბროდ. მე არც მათი საუბარი მომისმენია და არც დეტალები ვიცი, მაგრამ ამათი საქციელი იმ ვირთხების საქციელს მაგონებს, გემიდან პირველები რომ გარბიან ხოლმე.

ჩემი მხრიდან სააკაშვილის დაცვა არ გამოვა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ნაციონალების ეს ფრთა პარლამენტში მოხვდა, იმ საერთაშორისო მაწანწალას დამსახურებაა, ახლა უკრაინაში რომ ზის. ესენი კი მის ზურგს უკან ხლართავენ რაღაცებს და უკრაინაში მყოფი კაცი ლამის ჩვენი დასაცავი გახდა.

„ქართულ ოცნებას“ ეს ამბავი არ უნდა უხაროდეს. მათ რომ ჭკუა ჰქონდეთ, დასკვნები უნდა გამოიტანონ. თუ ნაციონალებმა სააკაშვილი არ დაინდეს, რომელთანაც დიდ ვალში არიან, ამათ რატომ დაინდობენ. ისე, ნაციონალების დაშლის პროცესი ძალიან ლამაზად მიდის, უფრო ადრე რომ მომხდარიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ „ოცნებამ“ გადაარჩინა ეს პარტია. ამ საქმეში მათ მოსახლეობაც დაეხმარა.

საუბრის დასაწყისში ჩვენს მოსახლეობას დიდი სიყვარულით მივულოცე ახალი წელი, მათ მიმართ ისევ დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო, მაგრამ საყვედურიც უნდა ვუთხრა – მათი პასიურობა რომ არა, დღეს პარლამენტი ნაციონალებსა და „ოცნებას“ არ დარჩებოდა. არჩევნები მართალია ტოტალურად გაყალბდა, მაგრამ ხალხი რომ მისულიყო საარჩევნო უბნებთან, სხვა შედეგი დადგებოდა. მოსახლეობამ სახლში დარჩენა ამჯობინა და შედეგიც სახეზეა – ქვეყანა მძიმე დღეშია.

***– არჩევნები საქართველოში წელსაც ტარდება. თქვენი აზრით, მოსახლეობა ისევ სახლში დარჩენას ამჯობინებს?***

– ვერ გეტყვით. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ საარჩევნო სისტემა არ შეიცვლება, საქართველოში არჩევნების ჩატარება აზრს დაკარგავს.

# დაიდება თუ არა პაქტი ტრამპსა და პუტინს შორის

## ამერიკელი ანალიტიკოსები: „2017 წლის მთავარი საფრთხე რუსეთსა და ნატოს შორის კონფლიქტია“

მარიამ მჭედლიშვილი

2017 წელი ობამას ადმინისტრაციასა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავების ფონზე დაიწყო. რუსეთთან ურთიერთობების ესკალაციას ისევ ერიდება არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

შექმნილი მდგომარეობა აისახება საქართველოზე. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები გავლენას ახდენს საქართველოზეც, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, აშშ კი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია. ევროკავშირისა და ნატოსადმი სწრაფვა და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა აისახა საქართველოს პარლამენტის მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებულ რეზოლუციაში.

შექმნილ რეალობაში ვაშინგტონ პოსტი ალაპარაკდა იმაზე, რომ ერთმანეთით აღფრთოვანებულმა აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებმა – ტრამპმა და პუტინმა შეიძლება დადონ თავდაუსხმელობის პაქტი და ერთმანეთს შეჰპირდნენ, რომ თავს შეიკავებენ ძალადობის აქტებისა და აგრესიული მოქმედებებისაგან.

გაზეთის სიტყვებით, პუტინს დონალდ ტრამპის უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსადმი სწორედ ისაა, რაც სჭირდება ვლადიმირ პუტინს. რუსეთის პრეზიდენტს მოსვენებას უკარგავს ნატო. მას სურს აკონტროლოს და შეაკავოს ალიანსი თავის საზღვრებთან.

ვაშინგტონპოსტი საშიშ ისტორიულ პარალელებს ავლებს:

– ტრამპსა და პუტინს შორის პაქტი არ იქნებოდა უპრეცედენტო ნაბიჯი. მსოფლიო უკვე გახდა იმის მოწმე, თუ როგორ გააფორმეს კავშირი ერთმანეთის მოწინააღმდეგეებმა. ეს იყო 1939 წელს – გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა – მოსისხლე მტრებმა გააფორმეს შეთანხმება. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოაჰიმ ფონ რიბენტროპმა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა წერილობით ივალდებულეს, რომ 10 წლის განმავლობაში გამორიცხავენ ომის საფრთხეს და თავს შეიკავებენ თავდასხმის ნებისმიერი აქტისა და აგრესიული მოქმედებისაგან. ისინი ასევე გარიგდნენ. რუსები და გერმანელები შეთანხმდნენ, რომ გაინაწილებდნენ პოლონეთს, საბჭოთა კავშირს მისცემდნენ აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში თავისუფალი მოქმედებების უფლებას. გერმანია, ამის საპასუხოდ, თავისი სურვილისამებრ განკარგავდა ლიტვას. ამ პაქტის შედეგად მსოფლიომ, რომელმაც ეს არ მიიღო, ომი დაიწყო. სტალინ-ჰიტლერის პაქტმა მეორე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა.



### რა ელის საქართველოს?

ექსპერტები დონალდ ტრამპის არჩევის დროიდან ვარაუდობენ, რომ აშშ უკრაინას აღიარებს რუსეთის გავლენის სფეროდ. ზოგიერთის აზრით, ეს 2017 წელს მოხდება.

2017 წლის ყველაზე დიდ საფრთხედ ამერიკელი ანალიტიკოსები რუსეთსა და ნატოს შორის კონფლიქტს ასახელებენ. ამაზე საუბარია ანალიტიკური ცენტრის – „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ მოხსენებაში.

ამის მიზეზად სახელდება რუსეთის აგრესიული მოქმედებები აღმოსავლეთ ევროპაში. მეორე დიდ საფრთხედ ნავარაუდევია ჩრდილოკორეული კრიზისი, რომელიც გამოწვეულია ბირთვული იარაღის გამოცდით და სამხედრო პროვოკაციებით.

კიდევ ერთ საფრთხედ მოხსენიებულია აშშ-ის ინფრასტრუქტურისათვის დამანგრეველი კიბერშეტევები.

მიმდინარე წლის პრობლემებს შორის ყურადღება გამახვილებულია ასევე მდგომარეობაზე ავღანეთში, კონფლიქტზე თურქეთსა და ქურთების დაჯგუფებებს შორის და ომზე სირიაში.

ბლუმბერგის პროგნოზით, 2017 წელს ტრამპი და ევროპელი ლიდერები აღიარებენ რუსეთის ძალაუფლებას უკრაინაში, სირიასა და ბელორუსიაში.

მანამდე რუსეთისთვის ხელსაყრელი ცვლილებები და გადანაწილება მოხდება ევროპაში. რის შემდეგაც პუტინი ხელს აიღებს ჰაკერულ თავდასხმებსა და საჰაერო სივრცის დარღვევაზე.

ბლუმბერგის ვარაუდით, ტრამპი შეწყვეტს აშშ-ის წევრობას ნატოში. ამას მოჰყვება ისლამური სახელმწიფოს გავლენის ზრდა ცენტრალურ აზიაში.

სამართალი

# შსს–მ „გირჩის“ ოფისში მარიხუანის დათესვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტზე, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოძიება დაიწყო.

როგორც შსს-ში აცხადებენ, 2016 წლის 31 დეკემბერს „გირჩის“ ოფისში, ახალი პოლიტიკური ცენტრის წევრებმა, მოხალისეებთან ერთად, საჯაროდ, მათ მიერვე დაანონსებული, წინასწარი ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე დათესეს.

– გამოძიება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 265-ე მუხლით). პოლიცია შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს, – განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.



„გირჩის“ თავმჯდომარემ ზურაბ ჯაფარიძემ აქტივისტებთან ერთად პარტიის ოფისში კანაფი დათესა.



როგორც ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, „გირჩმა“ ახალ ხელისუფლებას ულტიმატუმი თვენახევრის წინ წაუყენა და სთხოვა, რომ ახალ წლამდე საქართველოში ნარკოპოლიტიკა შეეცვალა, კერძოდ კი, მომხდარიყო ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და მარიხუანის ლეგალიზაცია, თუმცა „ხელისუფლებამ ცვლილებები არ გაატარა და არც აპირებენ“.

– დღეს „გირჩის“ წევრები და ჩვენთან შეკრებილი ადამიანები, რიგითი მოქალაქეები, საჯაროდ დავარღვევთ „სისხლის სამართლის კოდექსის“ 265-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 12 წლამდე და ჩვენთან ოფისში საჯაროდ დავთესავთ მარიხუანას.



ჩვენთვის ეს არის თავისუფლებისთვის ბრძოლა. ეს არ არის მარიხუანის მოწევისთვის ბრძოლა. ეს არის ბრძოლა თავისუფლებისთვის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისთვის, რომ ადამიანის სხეული არის მისი ნომერ პირველი საკუთრება და სახელმწიფოს საქმე არ არის, ადამიანი თავის სხეულს რას უზამს, მათ შორის, არც იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ სხეულს ზიანს აყენებს.

რაც აქ ხდება, არის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტი, რომლის მსგავსიც მსოფლიოს არაერთი ახსოვს. დარწმუნებული ვართ. რომ ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ, – განაცხადა ჯაფარიძემ 2016 წლის 31 დეკემბერს და დასძინა, რომ კანაფის თესლი ოტობაიადან ჩამოიტანა.

## შსს–ში არ ადასტურებენ, რომ ქავთარაძის ქუჩაზე მოკლული მამაკაცი ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებულია



შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე მოკლული მამაკაცი ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებულია.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, 2016 წლის 31 დეკემბერს ქავთარაძის ქუჩაზე მოკლული პირი ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებული ოლეგ დოევია.

ბესიკ ხარძიანის მკვლელობის შემდეგ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ბრალდებულმა ოლეგ დოევმა თანამზრახველთან ერთად, მკვლელობის ჩადენის შემდეგ საქართველოს საზღვარი გადაკვეთა და ქვეყანა დატოვა.

მკვლელობა ქავთარაძის ქუჩაზე ღამით მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი აივანზე იმყოფებოდა, როდესაც მოკლეს.

სამართალდამცველები ერთ-ერთ ვერსიად აღნიშნული მკვლელობის ჩადენაში სნაიპერის მონაწილეობასაც განიხილავენ.

# ტრანსგენდერი ქალის მკვლელს 10–წლიანი პატიმრობა მიესაჯა



ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის, მკვლელობაში ბრალდებულს უზენაესმა სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ადვოკატმა ციალა რატიანმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ბოლო ინსტანციის სასამართლომ ბრალდებული ლევან კოჭლაშვილი მკვლელობის ნაწილშიც გაამტყუნა და 10-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

კოჭლაშვილი ორი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ მხოლოდ სხვისი ნივთის დაზიანებაში, კერძოდ, სახლისთვის ცეცხლის წაკიდების ეპიზოდში ცნო და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, განზრახ მკვლელობაში კი გაამართლა. თუმცა უზენაესმა სასამართლომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები არ გაიზიარა და ბრალდებული მკვლელობის ნაწილშიც გაამტყუნა.

– უზენაესი სასამართლოს დასაბუთება ჩვენ არ მოგვისმენია, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. საქმეში უტყუარი მტკიცებულებები იყო, რომლებიც ადასტურებდა, რომ განზრახ მკვლელობას ჰქონდა ადგილი და არა – აუცილებელ მოგერიებას, – აღნიშნა ციალა რატიანმა.

კანონის თანახმად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მძიმე სასჯელმა ნაკლებად მძიმე სასჯელი შთანთქა და საბოლოო ჯამში, ბრალდებულს 10-წლიანი მსჯავრი დაედო.

საბი ბერიანი 2015 წლის 11 ნოემბერს საკუთარ ბინაში მოკლეს.

**სამკურნალო–სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლურჯი ავტობუსები №51 მარშრუტზე გავიდნენ

ახალი, ლურჯი ავტობუსები N51 მარშრუტზე პირველად გავიდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

როგორც თბილისის მერიიდან იუწყებიან, ავტობუსები გლდანულას დასახლებიდან, გლდანის, დიღმის მასივის, დიდუბის, საბურთალოსა და ვაკის გავლით ბაგების სტუდქალაქამდე იმოძრავებენ.




შენარჩუნებულია მგზავრობის სტანდარტული ტარიფი – 50 თეთრი და მერიის მიერ დაწესებული შეღავათები.

ახალი წლიდან სიახლე შეეხება N15 და N95 მარშრუტებსაც, აღნიშნულ ხაზებზე პატარა ავტობუსების ნაცვლად დიდი ყვითელი ავტობუსები იმოძრავებენ.

გერმანული ავტობუსებით „ბოგდანების" მორიგი ჩანაცვლება იანვრის ბოლოს N37 მარშრუტზე მოხდება. მარტში კი თბილისის ავტოპარკი მანის 143 ავტობუსით განახლდება.

– მერიის მიერ დაწყებული ავტობუსების პარკის გადახალისების პროექტი მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებისკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში კი თბილისის ავტოპარკის სრულად განახლებაა დაგეგმილი, – აცხადებენ თბილისის მერიაში.

# თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა

იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებსა და მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი, სათამაშო ბიზნესზე კი მოსაკრებლის ოდენობა გაიზარდა.



„საგადასახადო კოდექსში" შესული ცვლილებებით, 1 კოლოფ თამბაქოზე აქციზური გადასახადი 60 თეთრით გაიზრდება. რაც შეეხება ნავთობპროდუქტებს, ბენზინის შემთხვევაში აქციზის ღირებულება 1 ტონაზე 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზრდება; დიზელზე – 150-დან 400 ლარამდე; გაზზე, 1.000 კუბურ მეტრზე – 80-დან 200 ლარამდე.

ასევეიზრდება გადასახადი სათამაშო ბიზნესთან მიმართებაში. ტოტალიზატორი, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისას მიღებული ფსონების ჯამი დაიბეგრება 10%-ით და ასევე, 30%-ით იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი განაკვეთი მაგიდებთან დაკავშირებით.

ფინანსთა სამინისტროში ვარაუდობენ, რომ 2017 წლიდან დაგეგმილი თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ზრდა, იმპორტის ნაწილობრივი შემცირების გათვალისწინებით, დამატებით 200 მლნ ლარამდე შემოსავალს იძლევა.

ასევე ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, ავტომობილებზე აქციზის განაკვეთის ზრდა იმპორტის ნაწილობრივ შემცირებასთან ერთად, 2017 წელს დამატებით 45 მლნ ლარის შემოსავლის მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

აქციზის გადასახადის გაზრდა ნავთობპროდუქტებზე, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2017 წლის ბიუჯეტში დამატებით 250 მლნ ლარზე მეტი შემოსავლის მომცემი იქნება.

„საგადასახადო კოდექსში" ცვლილებები მე-9 მოწვევის პარლამენტს მთავრობის ახალმა შემადგენლობამ წარუდგინა. ცვლილებები მესამე მოსმენით რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა.

გარდა ამისა, ახალი წლიდან მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას მოახდენს, აღნიშნული გადასახადისგან გათავისუფლდება.

**ბიპიენი**

# „ოფიციალური კურსის დათვლაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩართვა გადაუდებლად აუცილებელი ნაბიჯია"



ეროვნული ბანკის მიერ ლარის ოფიციალური კურსის დათვლაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დამატებას ეკონომისტი ნოდარ ჭიჭინაძე დადებით მოვლენად აფასებს. როგორც ის ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, „ყინული გალღვა, უფრო სწორად, ლღობა დაიწყო. იმედია, ასე გაგრძელდება და ლარის კურსის დადგენაში შემავალი გარიგებების წრე კიდევ გაფართოვდება. გადაუდებლად აუცილებელია ეს ნაბიჯი".

ამასთან, ჭიჭინაძე წერს, რომ მიკროსაფინანსოების ჩართვის ინიციატივა აფბას ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო.

– გადაიხედოს ლარის კურსის განსაზღვრის მექანიზმი – დღეს ლარის კურსი დგინდება მხოლოდ ბანკთაშორისი გარიგებების შედეგად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეალურად საბანკო სექტორში მხოლოდ 2 მსხვილი ბანკია, ძალიან დიდია ბაზარზე არაფორმალური გავლენის მოხდენის ალბათობა.

მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდეს ლარის კურსის დადგენაში მონაწილე სუბიექტების წრე და მხოლოდ ბანკების გარდა, კურსის დადგენაში გაითვალისწინებოდეს, მაგალითად, მიკროსაფინანსოების, მსხვილი ექსპორტიორების და იმპორტიორების, სხვა ორგანიზაციების გარიგებები, – აღნიშნულია აფბას რეკომენდაციაში.

* * *

ეროვნული ბანკი ოფიციალური კურსის დათვლაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ამატებს. მის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეროვნული ბანკი 2017 წლის 3 იანვრიდან ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებაში ასევე გაითვალისწინებს კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარიგებებს.

– დღეისთვის ბლუმბერგით 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვაჭრობს და მომავალში, სავარაუდოდ, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამავდროულად, ეროვნული ბანკი თავის ვებგვერდზე ოფიციალური კურსების განთავსებას 4 ძირითადი ვალუტით იწყებს. მთავარ გვერდზე დოლარისა და ევროს კურსებს, თურქული ლირა და ფუნტი სტერლინგი დაემატება.

შეგახსენებთ, რომ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი წარმოადგენს წინა სავაჭრო დღეს, სავალუტო ბაზარზე, ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების საშუალო შეწონილ კურსს, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვისთვის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისთვის, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

**კომერსანტ.გე**

# ქართული ყურძნის წიპწის ზეთი ჩინეთსა და გერმანიაში ექსპორტზე გადის



2017 წლიდან „მეღვინეობა ხარება" ყურძნის წიპწის ზეთს საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, პირველ ეტაპზე „მეღვინეობა ხარებას" მიერ დამზადებული წიპწის ზეთი ჩინეთში გავა, მოგვიანებით კი გერმანიაში.

როგორც კომპანიის წარმომადგენელმა ბიზნეს-პრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, წიპწის ზეთის მიმართ დაინტერესება ძალიან დიდია.

– პროდუქციას ჩინეთსა და გერმანიაში მომავალი წლიდან, დიდი რაოდენობით, პერმანენტულად გავიტანთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთ ძირითადად სუპერმარკეტებში გაიყიდება. წიპწის ზეთის მიმართ ძალიან დიდი დაინტერესებაა ბალტიის ქვეყნებიდან, ესტონეთიდან, ლიტვიდან და ლატვიიდან. წიპწის ზეთის ექსპორტზე გატანას ამ ქვეყნებშიც ვფიქრობთ, – განაცხადა „მეღვინეობა ხარებას" წარმომადგენელმა.

ყურძნის წიპწის ზეთი როგორც მედიცინაში, ასევე კოსმეტიკასა და საკვები პროდუქტების მომზადებაში გამოიყენება.

**თათია ახვლედიანი, ბიპიენი**

# შეცდომები, რომლებითაც ჩვენს ტექნიკას ვაზიანებთ

ხშირად, საოჯახო ტექნიკა იმის გამო გვიფუჭდება, რომ ინსტრუქციას და უსაფრთხოების წესებს ბოლომდე არ ვიცავთ. გვეზარება და არ ვუფრთხილდებით ტექნიკას ისე, როგორც საჭიროა. გთავაზობთ ძირითად შეცდომებს, რომლებიც მომხმარებლებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან:



## სარეცხი მანქანა

● ხშირად სარეცხ მანქანაზე დევს საკმაოდ მძიმე ნივთები, ეს შეცდომაა. სასურველია ზედაპირზე საერთოდ არაფერი იყოს მოთავსებული. ასევე არ შეიძლება მანქანაზე დადგომა.

● გარეცხვის წინ აუცილებლად შეამოწმეთ, რომ ჯიბეებში არ იყოს დარჩენილი მცირე ნივთები: ხურდა, კანფეტი ან საღეჭი რეზინი.

● არ ჩაყაროთ მანქანაში არანაირი ნივთიერება, გარდა სპეციალური სარეცხი ფხვნილისა ან თეთრეულის კონდიციონერის. ხელით რეცხვისთვის განკუთვნილი სარეცხი ფხვნილი ძალიან ქაფდება და შეიძლება დააზიანოს მანქანა.

● აუცილებლად გააშრეთ რეზინის დეტალები მანქანაში. გამოიღეთ და გარეცხეთ განყოფილება ფხვნილისთვის. თუ ამას არ გააკეთებთ, მანქანის დეტალებზე შეიძლება გაჩნდეს ობი.

● გამოიღეთ სარეცხი მანქანიდან რეცხვის დამთავრებისთანავე. თუ მძიმე და სველი სარეცხი დიდხანს იქნება შიგნით, ბორბალი შეიძლება დაზიანდეს.

● თუ მანქანას არ გააჩნია თვითგაწმენდის რეჟიმი, პერიოდულად, თვეში ერთხელ მაინც ჩართეთ ცარიელი მანქანა, ხოლო ფხვნილის განყოფილებაში ჩაამატეთ ლიმონის წვენი, ძმარი ან ნადების მოსაცილებელი ხსნარი.

## მაცივარი

● თუ თქვენ ჩართეთ მაცივარი ყიდვისთანავე, ეს შეცდომაა. ამ შემთხვევაში ზეთი შეიძლება აღმოჩნდეს კომპრესორში და მაცივარი გაფუჭდება. დაელოდეთ 4-6 საათი და მხოლოდ შემდეგ ჩართეთ მოწყობილობა ქსელში.

● არ შეიძლება ცხელი კერძების შენახვა მაცივარში. დააცადეთ სანამ გაცივდება და შემდეგ უკვე მოათავსეთ სიცივეში.

● წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სასურველია მაცივრის სრული გათიშვა და გარეცხვა.

● არ დაგავიწყდეთ, ხანდახან გაწმინდეთ მაცივრის უკანა ნაწილი მტვრისგან, მტვერსასრუტის დახმარებით იმისთვის, რომ ძრავი არ დაიმტვეროს.

● ყოველ მაცივარს აქვს თავისი ბაქტერიული გარემო, თუ მაცივარში შეინახავთ პროდუქტს გახსნილ მდგომარეობაში, ის უფრო სწრაფად გახმება და გაფუჭდება, ხოლო საჭმლის სუნს, შეიწოვს თვით მაცივარი, შემდგომ რთული იქნება მისი განიავება.

## მიკროტალღური ღუმელი

● არ შეიძლება მიკროტალღურში 50 გრ-ზე ნაკლები საკვების გაცხელება. თუ ულუფა პატარაა, დადგით გვერდზე ჭიქა წყლით. მაშინ ის მიიღებს თავის თავზე ტალღების ნაწილს.

● ასევე სიმძიმის გადაჭარბებაც აზიანებს მიკროტალღურს. მაქსიმალურად დაშვებული წონა აუცილებლად მითითებულია ინსტრუქციაში.

● მძიმე ნივთების დადება მიკროტალღურ ღუმელზე არასასურველია. მით უმეტეს, თუ სიმძიმე დადგმულია სავენტილაციო განყოფილებაზე.

● არ ჩართოთ ცარიელი ღუმელი. ტალღების დამაგენერირებელი მოწყობილობა – მაგნეტრონი ადვილად გაფუჭდება. მიკროტალღური ღუმლისთვის შეუსაბამო ჭურჭლის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი (პლასტმასი, ფოლგა).

● არ გააცხელოთ ზედმეტად პროდუქტი.

● დროულად გაწმინდეთ მიკროტალღურის კედლები საჭმლის ნარჩენებისგან სპეციალური რბილი საშუალებებით.

## ტოსტერი

● ტოსტერი არ მეგობრობს წყალთან. შეეცადეთ, არ შეეხოთ სველი ხელებით. ასევე, სასურველია, მის გვერდით არ იყოს ადვილად აალებადი საგნები, მაგალითად, ფარდები.

● ტოსტერში შეიძლება მხოლოდ მშრალი პურის ან სხვა ცომისგან დამზადებული პროდუქტის მოთავსება. კრემის, მინანქრის, ჯემის გარეშე.

● თუ პერიოდულად არ გაწმენდთ ტოსტერს პურის ნამცეცებისგან, ის საკმაოდ მალე გაფუჭდება. გაწმენდის დროს აუცილებლად გამორთეთ ტოსტერი ქსელიდან.

## ბლენდერი

● ბლენდერში ცხელი, ახალი მოხარშული პროდუქტების ჩადება არ შეიძლება. მინიმუმ, 70-80°-მდე უნდა გაცივდეს.

● როგორც ტოსტერში, შეეცდეთ, რომ ბლენდერის ძრავში არ მოხვდეს წყალი.

● ბლენდერის ძრავი ადვილად ცხელდება. დიდი ხნით მისი ჩართვა არასასურველია. მუშაობის მაქსიმალური დრო მითითებულია ინსტრუქციაში.

● მხოლოდ მშრალი ინგრედიენტების, მაგალითად, ორცხობილების დამუშავება არასასურველია.

**შინ.გე**

## თურქეთი: ტერაქტი ახალი წლის ღამეს




სტამბულში ახალი წლის ღამეს სისხლიანი ტერაქტი მოხდა.

ორი ტერორისტი ღამის კლუბში შევიდა და სტუმრებს ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა. ერთ-ერთ თავდამსხმელს სანტა კლაუსის ფორმა ეცვა. არავინ მოელოდა, რომ იგი კლუბის სტუმრებს ავტომატიდან ცეცხლს გაუხსნიდა.

ტერაქტის შედეგად დაიღუპა 39 ადამიანი, 70 დაიჭრა.

მოკლულთა შორის 16 უცხოეთის მოქალაქე და რამდენიმე თურქი პოლიციელია.

## ტრამპმა ახალი წელი მტრებსაც მიულოცა



აშშ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ახალი წელი თავის მეგობრებსა და თანამებრძოლებს მიულოცა, უსურვა მათ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

– ახალ წელს ჩემს მტრებსაც ვულოცავ. ვინც მებრძოდა და მებრძვის, მათაც მსურს, ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი აშშ-ზე კიბერშეტევების საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ ამ კიბერშეტევების უკან, შესაძლოა, რუსეთი კი არა, ვიღაც სხვა იდგეს.

– გარკვეული ინფორმაცია მეც გამაჩნია, ის, რაც სხვებს არ აქვთ, – განაცხადა ტრამპმა.

მან არ დააკონკრეტა, რა ცნობები გააჩნია, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მომავალ კვირას საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის.

ტრამპმა საგარეო პოლიტიკის მისეულ ხედვაზეც ისაუბრა.

– ჩვენ კარგი ურთიერთობები ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან და ჩინეთთანაც გვექნება, – თქვა ტრამპმა.

## მაკეინი: „უკრაინელი ჯარისკაცებით აღფრთოვანებული ვარ“




1 იანვარს ამერიკელი სენატორი ჯონ მაკეინი სენატორებთან გრემთან და კოჩუბართან ერთად უკრაინაში ჩავიდა.

ამერიკელი სტუმრები პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდნენ, შემდეგ კი მასთან ერთად დონბასში გაემგზავრნენ.

ისინი ჩავიდნენ სოფელ შიროკონოში, რომელიც მარიუპოლის მახლობლად მდებარეობს და რუსების განუწყვეტელი დაბომბვის ქვეშ იმყოფება. რუსებმა სცადეს, ამერიკელი სტუმრისთვის სიურპრიზი მოეწყოთ და შიროკინოზე რუსული დროშა აღემართათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. უკრაინელებმა შეტევა კვლავაც წარმატებით მოიგერიეს. მაკეინმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ გარბოდნენ რუსები.

– უკრაინელი ჯარისკაცებით აღფრთოვანებული ვარ! ისინი არა მხოლოდ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას, არამედ დემოკრატიული სამყაროს ღირებულებებსაც იცავენ, – თქვა მაკეინმა.

## ობამა: „აშშ ისევ ლიდერია“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ თანამემამულეებს ახალი წელი მიულოცა. ეს პრეზიდენტის რანგში ახალი წლის მისი უკანასკნელი მილოცვა იყო.

ობამამ განაცხადა, რომ აშშ-მ გამოწვევებს თავი წარმატებით გაართვა. მსოფლიო სარბიელზე აშშ-მ ლიდერის როლი შეინარჩუნა. ამერიკის არმია კვლავაც მსოფლიოში უძლიერესია, ამერიკის ეკონომიკა გლობალურია და მას ტოლი არ ჰყავს.

ობამამ იმედი გამთქვა, რომ 2017 წელი შემდგომი მიღწევებისა და წარმატებების წელი იქნება. მან ამერიკელ ხალხს ჯანმრთელობა, ბედნიერება და დღეგრძელობა უსურვა.

## პუტინი: „გადავიღალე, მაგრამ ჩემს პოსტზე ვრჩები“



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის საახალწლო მიმართვაში 2016 წლის მოკლე ანალიზი გააკეთა.

პუტინმა თქვა, რომ გასული წელი იმდენად მძიმე იყო, რომ პრობლემებთან ბრძოლამ გადაღალა.

– მიუხედავად ამისა, მე ჩემს პოსტზე ვრჩები, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ 2017 წელს პრობლემათა უმრავლესობის დაძლევა მოხერხდება.

პუტინმა განსაკუთრებით სამხედროთა როლზე მიუთითა.

– მსურს, ახალი წელი მივულოცო ჩვენს გმირ მეომრებს, რომლებიც რუსეთს მკერდით იცავენ, – თქვა მან.

## მერკელი: „2017 წელს გერმანიას სერიოზული გამოწვევები ელის“




ანგელა მერკელმა თანამემამულეებს ახალი წელი მიულოცა.

2017 წელს კანცლერი მთავარ საფრთხედ ისლამურ ტერორიზმს მიიჩნევს.

– გერმანია უდიდესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ! – განაცხადა კანცლერმა.

მერკელი კარს მომდგარ არჩევნებსაც შეეხო. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანელ ხალხს მიეცემა საშუალება, თავისი ნება სრულად გამოხატოს.

– არც ერთ უცხო ძალას არ მივცემთ საშუალებას, რომ ჩვენს არჩევნებში ჩაერიოს, – თქვა კანცლერმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სირიაში შეტაკებები გრძელდება



მიუხედავად შეთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, სირიაში შეტაკებები გრძელდება.

1 იანვარს ბაშარ ასადის არმიამ პარტიზანების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია დაბომბა. ადგილი ჰქონდა შეტევაზე გადასვლის მცდელობასაც. პარტიზანების მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ ასადის მომხრეებმა უკან დაიხიეს.

სირიელი მეამბოხეები აცხადებენ, რომ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ირღვევა.

2017 წელს ტრამპი პუტინთან საერთო ენის გამოძებნას შეეცდება. უწინარეს ყოვლისა, საუბარი სირიის პრობლემის გარშემო წარიმართება. შესაძლოა, გარკვეულ შეთანხმებასაც მოაწერონ ხელი, თუმცა ეს მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იქნება.

სავარაუდოდ, სირიაში ომი გაგრძელდება.

## გამვლელები ჩინელს გაფანტული ფულის მოგროვებაში დაეხმარნენ




ჩინელ მამაკაცს გამვლელები დაეხმარნენ ქარის მიერ გაფანტული 25 ათასი იუანის (დაახლოებით 3.600 დოლარი) მოგროვებაში. ჩინეთის პროვინცია ლიაონინის ქალაქ დალიანში მომხდარის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

კადრებზე, რომელიც სათვალთვალო კამერითაა გადაღებული, ჩანს, რომ ბანკიდან გასულ მამაკაცს ხელში ფულის შეკვრები და ძაღლი უჭირავს. მოულოდნელად მას ფული ასფალტზე დაუცვივდა, ხოლო ქარმა ისინი ტროტუარზე მიმოფანტა.

მამაკაცი მიმოფანტული კუპიურების შეგროვებას შეუდგა. მასთან დასახმარებლად რამდენიმე გამვლელი და ბანკის კლიენტები მივიდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთიანი ძალისხმევით მოხერხდა მთელი თანხის მოგროვება და ის პატრონს დაუბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



# საახალწლო კონცერტი ისევ დაპირისპირების მიზეზია

როგორც მოსალოდნელი იყო, საახალწლო კონცერტი ისევ დაპირისპირების მიზეზი გახდა. ჯერ იყო და მომღერლებმა ამ კონცერტის მიღმა დატოვება გააპროტესტეს, კონცერტის ჩატარების შემდეგ კი სალაპარაკო მისი ხარისხი და გახმოვანება გახდა.

მომღერლებმა განაცხადეს, რომ სანამ ნორმალური გახმოვანება არ იქნება, არ არის გამორიცხული, კონცერტებში მონაწილეობაზე უარი განაცხადონ.

საახალწლო კონცერტის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, კომპოზიტორმა მიშა მდინარაძემ ღონისძიებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა:

– მიუხედავად იმისა, რომ სტალინგრადის ბრძოლა გადავიტანეთ და სანგრების თხრა დავიწყეთ სცენასთან, რათა მუსიკოსები არ ემსხვერპლა ამ გაუთავებელ აფეთქებებს, კონცერტი მაინც ჩატარდა. გმადლობთ ყველა მუსიკოსს, ტექნიკურ პერსონალს და მსმენელს, ვინც პიროტექნიკით არ იყო დაკავებული, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოვიდა კონცერტის მოსასმენად. ძალიან რთულია ასეთ სიცივეში დაკვრა და სიმღერა, თუმცა იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც ასე მისტირის ფონოგრამაზე პირის დაღებას და ამ მკვდრადშობილი, მანკიერი ტრადიციის გაცოცხლებაზე ოცნებობს, ყველაზე ცუდად შესრულებული ცოცხალი კონცერტი მირჩევნია სტუდიაში ათასჯერ ჩაწერილ, მერე გასწორებულ-გაპატიოსნებულ, მუმიფიცირებულ სიმღერებს და ასე ჩატარებულ ვითომ კონცერტს!"

**ეკა ირემაშვილი**

# აკა სინჯიკაშვილს საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა

სცენარისტსა და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს აკა სინჯიკაშვილს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა.

აკა მეგობრების და რიგითი მოქალაქეების თანადგომით ახორციელებს პროექტს „სიკეთე გადამდებია – ჩვენ თვითონ მივხედოთ ერთმანეთს", რომელიც გაჭირვებული თანამემამულეების დახმარებას ითვალისწინებს.

**აკა სინჯიკაშვილი:**

– 2016 – წელი, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ამ წელს ცოტას კი არა, ასობით ადამიანს ვაჩუქეთ თავისი წილი ბედნიერება.

ამონაწერი რომ ავიღე ბანკიდან, აი, სული შემიგუბდა, ვერც წარმოვიდგინე, რომ ამდენი ფული ასე უბრალოდ მანდეთ, ეჭვიც არ შეგიტანიათ ჩემში და უამრავი მადლობა.

ჩემი პირადი თანხების გარდა, გასულ წელს, სულ ჩემს ანგარიშზე ჩაირიცხა 92.870 ლარი. ამ ფულით გავაკეთეთ 14 ოპერაცია, მათ შორის, 8 სიცოცხლე გადავარჩინეთ, რეაბილიტაციის ფული გადავუხადეთ 8 ადამიანს და ამ წელს აუცილებლად გაივლის ყველა.

გადავიხადეთ 32 ბინის ქირა და ბავშვები და მოხუცები არ დავტოვეთ ქუჩაში, გადავხურეთ და გავარემონტეთ 5 სახლი, დავარიგეთ 50.000-მდე პური, 12 ტონაზე მეტი სხვადასხვა საკვები პროდუქტი, შევაგროვეთ და რეგიონებში ჩავიტანეთ 21 ტონა ტანსაცმელი და დაახლოებით 50.000 ადამიანს ჩავაცვით.

შევაგროვეთ და ვიყიდეთ საოჯახო ნივთები და ინვენტარი, სულ თავიდან ცხოვრება დავაწყებინეთ 14 ადამიანს, სამსახური ვუშოვეთ 8-ს. შემწეობა გავუწიეთ 30 მარტოხელა მშობელს, ავეჯით და ყველა საჭირო ნივთით ავავსეთ 7 ცარიელი სახლი, ვუყიდეთ ადამიანებს შინაური ცხოველები და ფრინველები, მიწის ნაკვეთები, 10 შშმ პირისთვის განკუთვნილი ეტლი, გადავიხადეთ 34 გათიშული დენის და ჩაჭრილი გაზის გადასახადი.

6 ადამიანი აღარ იმათხოვრებს ქუჩაში, 3 ადამიანი აღარ იდგება პანელზე და აქვს ნამდვილი სამსახური. შევაჩერეთ 30-ზე მეტი ოჯახური ძალადობა, შევარიგეთ ცოლ-ქმარი, შეყვარებულები და რძალ-დედამთილიც კი. ამის გარდა, ასობით ადამიანს დავუბრუნეთ და გავუჩინეთ სიკეთის კეთების გრძნობა, ბედნიერების ცრემლებით ვატირეთ და დავუბრუნეთ იმედი, რომ სიკეთე მართლა არსებობს. ქუჩებში ვიპოვეთ და ვუმკურნალეთ 14 ადამიანს, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადავიყვანეთ 50-ზე მეტი.

მთავარი ამბავი მგონია, რომ დავაჯარიმეთ და დავხურეთ 200-ზე მეტი ფსიქოტროპული აბებით უკანონოდ მოვაჭრე აფთიაქი, რომლების ნამუსზეა ბევრი არასრულწლოვანის სიცოცხლე. ახლაც პერიოდულად ვამოწმებთ.

ვიტაქსავეთ 78 ღამე, ვიყავით ყველა რეგიონში, სხვადასხვა მანქანით გავიარეთ 82.000 კილომეტრი, მეტი მანქანა აღარ გვყავს, ორივე გავაფუჭეთ სექტემბერში, თორემ მეტს გავივლიდით. ერთხელ, ორ დღეში ვიყავით ბათუმში, ლაგოდეხში, წალკაში და სამეგრელოში.

ჩემთან ყველაფერი შეიცვალა, ჩემს დანახვაზე იღიმებიან, მეხუტებიან და ტირიან. დავიკელი 12 კგ, გავიცანი და შევიძინე ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება მეყვარება. ორჯერ გამიხეთქეს თავი. ენა მებმის და არ შეგეშინდეთ, ვისაც დიდი ხანია არ გინახივართ. სამაგიეროდ, მაქვს ასობით ადამიანის სიყვარული და პატივისცემა, რაც არაფერში არ გავცვალე და არც არაფერში გავცვლი.

პრეზიდენტმა დაგვიბარა მე, ლევან დევაძე, ლევან გოგინაშვილი და მადლობა გადაგვიხადა პირადად. ეს ყველაფერი ჩვენ ყველამ ერთად გავაკეთეთ და ყველას ვაჩვენეთ, რომ სიკეთე გადამდებია და თავისუფლად შეგვიძლია ჩვენ თვითონ მივხედოთ ერთმანეთს. ცოტა არეულად დავწერე,



ბევრი რამე გამომრჩა და ბოდიშს ვიხდი. ?

ახალ 2017 წელს გისურვებთ ყოველდღე თითო ბედნიერებას. მადლობა თქვენ, სათითაოდ ყველას, დიდი მადლობა!

**ეკა ირემაშვილი**

## კალეიდოსკოპი

### გიგანტური ალიგატორი გოლფის მოედანზე დაბრუნდა

გიგანტური ალიგატორი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ფლორიდის შტატში გოლფის მოედანზე გაისეირნა და იქ მყოფებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ისევ შენიშნეს იმავე მოედანზე.

რეპტილიის სიგრძე მინიმუმ 4,5 მეტრს შეადგენს. მაისში მან მთელ მსოფ-



ლიოში გაითქვა სახელი, როდესაც მისი გოლფის მოედანზე გასეირნების ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული. მას შემდეგ აღნიშნული ვიდეორგოლი 20 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

ქალაქ პალმეტოს გოლფის მოედნის მუდმივი სტუმარი ამტკიცებს, რომ ბოლო დროს რეგულარულად ხედავენ სახელგანთქმულ ალიგატორს.

– ის გამოდის ბუჩქებიდან. სამ-ოთხ მეტრს გაივლის და დასასვენებლად წვება, – აცხადებს გოლფ-კლუბის წევრი დეივ სტეიპლზი. ერთ-ერთმა სპორტსმენმა კი აღიარა, რომ ის სპეციალურად ატარებს ვიდეოკამერას, რათა ცხოველი გადაიღოს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ცხოველს ჩაბსი შეარქვეს ფილმ „ბედნიერი გილმორის" პერსონაჟის პატივსაცემად.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

### ლიცეუმის მოსწავლეებმა მასწავლებელთან ფოტოსთვის გაიხადეს



საფრანგეთის კომუნა ავინიონში ერთ-ერთი ლიცეუმის მოსწავლეებმა ერთობლივი სურათი გადაიღეს, რისთვისაც გაიხადეს და მხოლოდ საცვლების ამარა დარჩნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსწავლეებმა, რომლებიც „მეცნიერება და ტექნოლოგიის" ფაკულტეტზე სწავლობენ, სხეული მხოლოდ შავი ფერის ფირნიშებით დაიფარეს. ახალგაზრდებს ამგვარად სურდათ რაიმე უჩვეულო გაეკეთებინათ სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავად. მათ ამაში ერთ-ერთი მასწავლებელიც შეუერთდათ.

აღსანიშნავია, რომ ფოტოსურათმა პოპულარობა მოიპოვა სოციალურ ქსელებსა და მას მედიაში. მრავალი დადებითად შეხვდა ამ კადრს და აღიარეს, რომ სწორედ ეს არის „თვითგამოხატვის ნამდვილი თავისუფლება".



### ღარიბმა ინდოელმა შეცდომით მილიარდი რუპია მიიღო

ინდოეთის ქალაქ მერატხის მცხოვრებმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის სთხოვა ურჩიოს, თუ რა მოუხერხოს მილიარდ რუპიას (დაახლოებით 14 მილიონ დოლარს), რომელიც შეცდომით მის საბანკო ანგარიშზე აღმოჩნდა.

შიტალ იადავი ფაბრიკაში შემფუთავ განყოფილებაში მუშაობს და ხელფასი ხუთი ათასი რუპია აქვს თვეში (100 დოლარზე ნაკლები). 18 დეკემბერს მას საბანკო ბარათიდან თანხა უნდა მოეხსნა და ამ დროს თავის ანგარიშზე თითქმის მილიარდი რუპია აღმოაჩინა. ქალმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და იქვე გვერდით მდგომს სთხოვა წაეკითხა მისთვის გიგანტური ციფრი (999999394). მან დაუდასტურა, რომ მას ბარათზე სწორედ ეს თანხა ჰქონდა. იადავი სხვა ბანკომატთან მივიდა, მაგრამ მანაც იგივე თანხა უჩვენა.

ქალმა ბანკს მიმართა. ორი დღის განმავლობაში მისი საჩივრის მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ, შემდეგ იადავს სთხოვეს, ერთი დღის შემდეგ მისულიყო, რათა მენეჯერს შეხვედროდა, რომელიც იმ მომენტში ადგილზე არ იმყოფებოდა. როდესაც ის ისევ მივიდა ბანკში, ბანკის თანამშრომლებმა ახლა სხვა მიზეზი გამონახეს იმისთვის, რათა მის საქმეში გარკვევისთვის თავი აერიდებინათ.

ამის შემდეგ იადავმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, წერილი სახელმწიფოს მეთაურისთვის გაეგზავნათ. ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ მათ ასეთი თანხა შეუძლებელია ჰქონდეთ. შეცდომაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მილიარდი რუპია ჩარიცხულია იმ ანგარიშზე, რომელზეც 50 ათას რუპიაზე მეტის შენახვა არ შეიძლება. ქალი წერილში მოდის სთხოვს, ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროს.

### ბლოგერმა შვილს სანტა-კლაუსის არსებობა სპეცეფექტებით დაუმტკიცა



იუთუბის მომხმარებელმა მიხალ მოგილამ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელიც თავისი ექვსი წლის გოგონასთვის გადაიღო, რადგან მას სანტა-კლაუსის არსებობაში ეჭვი ეპარებოდა. მამაკაცმა ბავშვი კომპიუტერული სპეცეფექტების დახმარებით დააჯერა სანტა-კლაუსის არსებობაში.

– გადავწყვიტე, ის დამერწმუნებინა, რომ წვერიანი მოხუცი რეალობაა. შვილთან ერთად გადავწყვიტე, ვიდეოკამერა ნაძვის ხეზე ჩამომეკიდებინა, რათა სანტას ვიზიტის მომენტი გადაგვეღო. როგორც კი შვილმა საჩუქრები ნახა, მაშინვე მომთხოვა მისთვის ვიდეოჩანაწერის ჩვენება, – დაწერა მიხალმა ვიდეოჩანაწერისთვის თანდართულ კომენტარში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### ბრიტანელმა მოდელებმა გადაღებები თვითმკვლელის ცხედართან გამართეს

ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერში მოდელების ჯგუფმა მრავალსაათიანი გადაღებები მოაწყო მამაკაცის ცხედრის გვერდით, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ძმებმა ენდრიუ და შონ ჯინმა ფოტოგრაფი და ხუთი მოდელი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გადაღებებისთვის დაიქირავეს. ერთ-ერთ ადგილს წარმოადგენდა დანლოპის ფირმის მიტოვებული რეზინის ფაბრიკა.



ჯგუფი ფაბრიკის ტერიტორიაზე თანხმობის გარეშე შევიდა და მის საწყობში 27 წლის მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინა, რომელმაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე დღის წინ თავი მოიკლა.

ფოტოგრაფმა და მოდელებმა გადაწყვიტეს არ დაერეკათ პოლიციაში, სანამ მუშაობას არ დაასრულებდნენ. მათ იფიქრეს, რომ ამ ფაბრიკაში მოხვედრის სხვა შანსი აღარ მიეცემოდათ, ხოლო ცხედარს არაფერი დაემართებოდა.

გადაღებები ექვს საათს გრძელდებოდა, რის შემდეგაც მისმა მონაწილეებმა სამართალდამცავებს მიმართეს. მანჩესტერში მიმდინარე სასამართლო პროცესზე გაირკვა, მათ კიდევ რამდენიმე საათის მანძილზე რომ არ განეცხადებინათ მომხდარის თაობაზე, ეს შესაძლოა სისხლის სამართლის დევნის დაწყების მიზეზი გამხდარიყო.

### ყველაზე მსუქანმა მანეკენმა ხალათი ვერ შეიკრა

მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა მანეკენმა ტეს ჰოლიდეიმ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სელფი, რომელიც სასტუმროს ნომერშია გადაღებული და რომელზეც აჩვენა, რომ ვერაფრით შეიკრა ხალათი, რომელიც მას სასტუმროში მისცეს.



– ძალიან მიხარია, რომ მათ ჩემი ზომის ხალათი აღმოაჩნდათ, – იხუმრა მანეკენმა.

მისმა ფოტომ 23 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, ხოლო სულ მოდელის გვერდს 1,4 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

# ჟურნალისტთა რჩეულის ლაშა ტალახაძეა




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს კვალდაკვალ, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამაც დაასახელა რჩეულნი:

მასმედიის წარმომადგენლებს 4 ნომინაცია ჰქონდათ:

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი; საუკეთესო მწვრთნელი; საუკეთესო ნაკრები; საუკეთესო სპორტსმენი. საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად დასახელდა მორაგბე ვასილ ლობჟანიძე, რომელმაც წლეულს წარმატებით ითამაშა როგორც ახალგაზრდულ, ისე ეროვნულ ნაკრებ გუნდებში. ლობჟანიძეს ამ ნომინაციაში კონკურენციას გენო პეტრიაშვილი და ზვიად პატარიძე უწევდნენ.

საუკეთესო მწვრთნელად ცნეს ძალოსანთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე. მისმა შეგირდებმა წლეულს საერთაშორისო სარბიელზე არნახულ წარმატებას მიაღწიეს. ამის დასტურად მარტო ლაშა ტალახაძის მოყვანა შეიძლება. ასანიძემ ნომინაციაში მილტონ ჰეიგსა და ნუგზარ სხიერელს აჯობა.

საუკეთესო ნაკრებია საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს. მეორე ადგილზე მორაგბეთა ნაკრები გავიდა, ხოლო მესამეზე მოჭიდავეები.

წლის საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციაში ყველაზე მეტი ხმა რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ლაშა ტალახაძემ დაიმსახურა და, ცხადია, 2016 წლის სპორტსმენადაც ის დასახელდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და კალათბურთელი ზაზა ფაჩულია გავიდნენ.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ინიციატივით, გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების საზეიმო საღამო გაიმართა. საუკეთესო სპორტსმენებს პრიზები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა გადასცეს. ამავე საღამოზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ მიხეილ აბაიშვილს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭა.

# ბარსელონა და მილანი ტრანსფერებისთვის ემზადებიან



ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელმა, პაულო დიბალამ, შესაძლოა, კარიერა ესპანეთში გააგრძელოს.

მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის არგენტინელმა ტურინელებთან კონტრაქტი 2021 წლამდე გაახანგრძლივა, ფეხბურთელს მაინც შეუძლია ზაფხულში კლუბი შეიცვალოს.

დიბალას მიმართ ინტერესს ორი ესპანური გრანდი – მადრიდის რეალი და ბარსელონა იჩენენ. სავარაუდოდ, ფეხბურთელს სწორედ ამ კლუბებს შორის მოუწევს არჩევნის გაკეთება.

ბარსელონა კიდევ ერთი ფეხბურთელით არის დაინტერესებული – კატალონიელთა სფეროში პარი სენჟერმენის განაპირა მცველი სერჟ ორიე მოექცა, რომლის მიმართ ინტერესს ასევე მილანი იჩენს.

ერთია, მილანი ახალგაზრდა მცველის გაფორმებას ზაფხულში გეგმავს, როცა კლუბი ინვესტორებისგან ტრანსფერისთვის საჭირო თანხას მიიღებს. კატალონიელები კი პსჟ-ს ფეხბურთელის სანაცვლოდ შემოთავაზებას იანვარში გაუკეთებენ.

24 წლის ორიემ მიმდინარე სეზონში ფრანგული კლუბის მაისურით ყველა ტურნირზე საერთო ჯამში 16 მატჩი ჩაატარა. მილანი და ბარსელონა ერთი ფეხბურთელისთვის ბრძოლას კი უცხადებენ ერთმანეთს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ერთმანეთის პარტნიორებიც გახდნენ. ესპანური მედიის ცნობით, ესპანელთა მარჯვენა მცველმა, ალექს ვიდალმა ბარსელონას ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ უკმაყოფილოა კლუბში თავისი მდგომარეობით და იანვარში სხვა გუნდში გადასვლა სურს.

ასევე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, იანვარში ფეხბურთელის აგენტი მილანში აპირებს გამგზავრებას, რათა მოლაპარაკებები ორ მილანურ გრანდთან აწარმოოს. ვიდალი კატალონიურ კლუბში 2015 წელს 17 მილიონ ევროდ გადავიდა, მას შემდეგ, რაც მოთამაშე ევროპის ლიგის გამარჯვებული გახდა სევილიასთან ერთად. როგორც ჩანს, მილანი ამ ტრანსფერებს არ სჯერდება: ინგლისური საინფორმაციო სააგენტოები ადასტურებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მილანურმა კლუბმა ევერტონთან დელოფეუს თაობაზე შეთანხმებას მიაღწია.

22 წლის ვინგერი „როსონერიში" იჯარის წესით ითამაშებს გამოსყიდვის უფლების გარეშე. მილანი ინგლისიდან ფაბიო ბორინის გადაბირებაზეც ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის თავდამსხმელს სანდერლენდთან კონტრაქტი 2019 წელს იწურება, როგორც ჩანს, მისი ინგლისური თავგადასავალი დასასრულს მიუახლოვდა.

სავარაუდოდ, ფეხბურთელი იტალიაში დაბრუნდება, სადაც მისით ორი კლუბი – მილანი და რომა ინტერესდებიან.

ბორინის თამაში შეუძლია როგორც ფლანგზე შეტევაში, ასევე ცენტრში. ფაბიო შესაძლოა მბაიე ნიანგის შემცვლელიც გახდეს.

კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო კარიერის გაგრძელებას ინგლისის პრემიერლიგაში გეგმავს. 35 წლის ფეხბურთელი ჰალიში ჩაირიცხება და მის გადარჩენას შეეცდება.

ჰალი პრემიერლიგაში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზე იმყოფება და დაქვეითება ემუქრება. გუნდი განსაკუთრებით შეტევის ხაზში მოიკოჭლებს და მიმდინარე სეზონში ყველაზე ცოტა, 16 გოლი აქვს გატანილი და ამ პრობლემის მოგვარებას ვეტერანი კამერუნელის დამატებით იმედოვნებს.

ეტოოს კარიერის განმავლობაში რეალის, ლეგანესის, ესპანიოლის, მალიორკას, ბარსელონას, ინტერის, ანჟის, ჩელსის, ევერტონის და სამპდორიას ღირსება დაუცავს. ამ სეზონში კი ანტალიის მაისურით თურქეთის ჩემპიონატის 13 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 5 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასიც მიითვალა.

# ლიოვი მუნდიალის გაზრდის წინააღმდეგია



გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა თავისი უკმაყოფილება გამოხატა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეების გაზრდის იდეის თაობაზე.

**იოაჰიმ ლიოვი:**

– მსოფლიო ჩემპიონატის გაფართოება? გამორიცხულია... ამაზე პასუხისმგებელი ფიფა და უეფაა. მათ ზომიერების გრძნობა უნდა მოიპოვონ, რათა სწორი ბალანსი მოიძიონ ტურნირის კომერციულ და სპორტული ნაწილის დაკომპლექტებაში.

თუ გადავხედავთ ბოლო რამდენიმე წელს, ტოპ-ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უკვე ბოლო ზღვარზე არიან. სიფრთხილეა საჭირო, რომ არ გადავაჭარბოთ დიდი რაოდენობის მატჩებით, ხარისხი არ უნდა დაზარალდეს. ამის გამო შესაძლებელია გულშემატკივრებმა ზურგი შეაქციონ, ინტერესი კი ჩაქრობას დაიწყებს. როდესაც ასეთი კარგი პროდუქტი გაქვს, როგორიც ფეხბურთია, რაღაც შეზღუდვებზეც უნდა იფიქრო, რომ მაღალი ხარისხი შეინარჩუნო. ამ მომენტისათვის მსოფლიო ჩემპიონატი აბსოლუტურად დაბალანსებულია.

არ მომწონს ახლანდელი ტრენდი, როდესაც გუნდები თავის ტაქტიკას იცვლიან და შეტევაში არ მიდიან წინ. ტურნირი თავის დონეს კარგავს, როგორც ეს 2016 წლის ევროზე მოხდა – პორტუგალია, რომელიც ტურნირის ჩემპიონი გახდა, ჯგუფიდან მე-3 ადგილით, სულ რაღაც 3 ქულიანი აქტივით გავიდა.

# ფაჩულია იგებს, შერმადინი და ბურჯანაძე გუნდში საუკეთესოები არიან

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა მორიგი მატჩი გამართა და მორიგ გამარჯვებას მიაღწია.

ოკლენდელები ქართველი ფორვარდის ყოფილ გუნდ დალას მავერიკსს შეხვდნენ, რომლის დამარცხებაც არ გასჭირვებიათ – 108:99. მართალია, საბოლოოდ 9-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა, მაგრამ ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 22 ქულით იგებდნენ და შეხვედრის ბედიც გარკვეული იყო.

ფაჩულია ყოფილ თანაგუნდელებთან მატჩში ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 18 წუთი გაატარა. ზაზას ძირითადად დირკ ნოვიცკის მეურვეობა უწევდა, რომელმაც მოედანზე ყოფნის 23 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი დააგროვა.

რაც შეეხება ქართველი ცენტრის მონაგარს, ზაზას ამჯერად მიზანმა ცოტა უმტყუნა. მან 6-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 5 მოხსნით და 1 ჩაჭრით დაასრულა.

29 მოგებითა და 5 მარცხით გოლდენ სტეიტი ლიგას ლიდერობს. მომდევნო მატჩს ოკლენდელები შინ, დენვერთან გამართავენ.

მიმდინარე ევროლიგის ყველაზე უხვქულიანი მატჩი ჩაატარა თორნიკე შენგელიამ და ბასკონიას მორიგ გამარჯვებაში დაეხმარა. ევროლიგის მე-15 ტურში ვიტორიულმა გუნდმა თელ-ავივის მაკაბის უმასპინძლა და 101:88 დაამარცხა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 9-დან 6 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 4 საჯარიმო ჩააგდო. შენგელიას ანგარიშზე 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაც იყო. აღსანიშნავია, რომ თორნიკემ ევროლიგის ბოლო ოთხ მატჩში 21-დან 20 საჯარიმო გამოიყენა და ამ მხრივ ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესოა.

15 ტურის შემდეგ ბასკონიას 10 მოგება აქვს. ამ შედეგით ვიტორიული გუნდი მადრიდის რეალთან და პირეოსის ოლიმპიაკოსთან ერთად სატურნირო ცხრილში მე-2-4 ადგილებს იყოფს.

პირველ პოზიციაზე მოსკოვის ცსკა რჩება, რომელმაც მოულოდნელად ბელგრადში ცრვენა ზვეზდასთან წააგო (78:67), თუმცა, ზურგს 12 გამარჯვება უმაგრებს და პირველობას არ თმობს. შენგელიას გუნდი მე-16 ტურის მატჩს ისევ შინ, ყაზანის უნიკსთან გამართავს.

ბექა ბურჯანაძემ და გიორგი შერმადინმა ისევ შედეგიანი მატჩი ჩაატარეს. ანდორას ქართველი ლეგიონერები ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, სტუმრად ტენერიფესთან კარგად გაისარჯნენ, თუმცა მათ თანაგუნდელებმა მხარი სათანადოდ ვერ აუბეს და ანდორელებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან წააგეს – 72:89.

გიორგი შერმადინი ანდორელთა ბომბარდირი გახდა. ჩვენებური სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 14 ქულა, 7 მოხსნა (3 შეტევაში) და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 5 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო გამოიყენა, ერთხელ სამქულიანი დისტანციიდანაც შეუტია, თუმცა, არაზუსტად.

ბურჯანაძე კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, თუმცა, იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მე-2 ტაიმი შეუცვლელად ჩაატარა. საერთო ჯამში, ბექამ მოედანზე ასევე 27 წუთი დაჰყო და ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა. ქართველმა ფორვარდმა 6-დან 4 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა და 12 ქულას 8 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა წაამატა.

გასულ მატჩში სოლიდური სხვაობა კი დაფიქსირდა, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაშის ბედი ერთადერთმა კომპონენტმა გადაწყვიტა. ანდორელებმა 15-დან 6 სამქულიანი გამოიყენეს, ტენერიფელები კი პერიმეტრიდან საოცრად ზუსტად სტყორცნიდნენ. მათ 33-დან 17 (51%) ბურთი ჩააგდეს.

ანდორას 14 შეხვედრიდან 8 მოგება აქვს და პლეი ოფის ზღვარზე, მე-8 ადგილზეა. ქართველთა გუნდი მომავალ მატჩს მადრიდში რეალთან გამართავს.

# დინამომ ქუთაისს მოუგო და ისევ დაუმარცხებელია

**დინამო-ქუთაისი 92:75**

(28:17, 22:16, 24:18, 18:24)



სანამ ჩვენი გაზეთი საახალწლოდ ისვენებდა, გაიმართა საქართველოს სუპერლიგის მეორე წრის ბოლო ტურის მატჩები. თუმცა, ტური ნაკლული აღმოჩნდა და მხოლოდ 2 მატჩი ჩატარდა.

ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს ჩემპიონატის ლიდერები – დინამო და ქუთაისი შეხვდნენ. ქუთაისელებს აქამდე 2 წაგება ჰქონდათ – კაკტუსთან და დინამოსთან, ხოლო დედაქალაქელები ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობდნენ.

მატჩი ვერ გამოდგა ისეთი საინტერესო, როგორი ინტრიგაც ახლდა. მართალია, თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, თუმცა პირველი პერიოდის მეორე ნახევარში დინამოელებმა მატჩის სადავეები ხელთ იპყრეს და საწყისი ათწუთეული 28:17 მოიგეს.

დინამო, რომელიც დაცვაშიც კარგად თამაშობდა და სწრაფ კონტრშეტევებსაც შედეგიანად ახორციელებდა, უპირატესობას მეთოდურად ზრდიდა. დიდი შესვენებისთვის თბილისელთა უპირატესობა 17 ქულამდე ავიდა. თუკი ქუთაისელებს რამის შეცვლა შეეძლოთ, მესამე პერიოდში უნდა მოეხდინათ გარდატეხა, თუმცა პირიქით მოხდა. დინამოს უპირატესობამ 25 ქულას მიაღწია და შეხვედრის ბედიც გაირკვა.

საბოლოოდ დინამომ 92:75 გაიმარჯვა და სუპერლიგის 2 წრე დაუმარცხებლად დაასრულა.

გამარჯვებაში 25 ქულით სოლიდური წილი დაიდო მიხეილ ბერიშვილმა. 19 ქულა მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზეა, ხოლო 17 ქულა და 7 მოხსნა ილია ლონდარიძემ მოაგროვა.

ქუთაისში 18 ქულით ბომბარდირი გოგა ცეკვავა გახდა, 17-17 ქულა დაუგროვდათ გიორგი ცინცაძეს და გიორგი ბარბაქაძეს.

**ოლიმპი-ბათუმი 83:82**

(17:21, 19:15, 22:28, 25:18)

საინტერესო, დინამიური და ემოციებით სავსე მატჩი ოლიმპის გამარჯვებით დასრულდა. ეს გახლდათ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე თანაბარი შეხვედრა, რაზეც სტატისტიკა მეტყველებს. ლიდერი 8-ჯერ შეიცვალა, ხოლო 13-ჯერ თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა.

პირველი მეოთხედი ბათუმელებმა 21:17 მოიგეს, თუმცა მეორეში ოლიმპმა იძალა და 10-წუთეულის 19:15 მოგებით დიდ შესვენებაზე თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა – 36:36.

მესამე პერიოდში აჭარულმა გუნდმა შედეგიანობა გააუმჯობესა და ილია შემოსიუკისა და კახა ჯინჭარაძის შედეგიანობის შემდეგ, შეხვედრის 28-ე წუთზე 10-ქულიან ლიდერობას დაეპატრონა – 64:54. ამას ოლიმპელებმა ზუსტი შორი ტყორცნებითა და ფარქვეშ ჩინებული თამაშით უპასუხეს და შეხვედრის ბოლო პერიოდში ანგარიში ისევ გათანაბრდა.

მატჩის ბოლო წუთზე ოლიმპი 3 ქულით დაწინაურდა, რასაც ბათუმელმა კრისტოფერ პელჩერმა სწრაფი ორქულიანით უპასუხა და საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე სტუმრებმა ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირეს. ბათუმმა შემდეგ დაცვაშიც მოიგერია ოლიმპელთა შეტევა და იგივე ფელჩერი საჯარიმოს ხაზზე დადგა. ამერიკელმა ცენტრმა ორივე საჯარიმო ააცილა, ხოლო საპასუხო შეტევაში რევაზ როგავას საჯარიმოების სროლის საშუალება მიეცა, რომელმაც ორივე ცდა გამოიყენა და თბილისელები 83:80 დაწინაურდნენ.

ბათუმელებს სამქულიანის ჩაგდება სჭირდებოდათ და ეს შანსი მიეცათ კიდეც, მაგრამ ბესო ლეჟავამ ააცილა და ფარქვეშ ბურთის მომპოვებელ კახა ჯინჭარაძეს ორქულიანის ჩაგდებაზე მეტის დრო აღარ დარჩა.

გამარჯვებულებს 20 ქულით, 8 პასით და 7 მოხსნით რეზო როგავამ ულიდერა. 18 ქულა და 6 პასი მიითვალა გეგი ბაქრაძემ, ხოლო კახა ტომარაძის ანგარიშზე 15 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა.

ბათუმში 29 ქულით საუკეთესო იყო ილია შემოსიუკი. 24 ქულა კახა ჯინჭარაძემ მიითვალა, ხოლო კრის ფელჩერმა 14-14 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 14 | 14 | 01246-993 | 28 |
| 2.ქუთაისი | 13 | 10 | 31067-992 | 23 |
| 3.რუსთავი | 13 | 8 | 51021-1030 | 21 |
| 4.ბათუმი | 14 | 6 | 81091-1070 | 20 |
| 5.კაკტუსი | 13 | 5 | 81043-1137 | 18 |
| 6.სოხუმი | 13 | 5 | 81100-1127 | 18 |
| 7.ოლიმპი | 13 | 4 | 9898-950 | 17 |
| 8.მგზავრები | 13 | 1 | 12910-1077 | 14 |

## შედეგები

1 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ტოტენჰემი 1:4

არსენალი-კრ.პალასი 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 19 | 16 | 1 | 2 | 42-13 | 49 |
| 2.ლივერპული | 19 | 13 | 4 | 2 | 46-21 | 43 |
| 3.არსენალი | 19 | 12 | 4 | 3 | 41-19 | 40 |
| 4.ტოტენჰემი | 19 | 11 | 6 | 2 | 37-14 | 39 |
| 5.სიტი | 19 | 12 | 3 | 4 | 39-21 | 39 |
| 6.მანჩესტერი | 19 | 10 | 6 | 3 | 29-19 | 36 |
| 7.ევერტონი | 19 | 7 | 6 | 6 | 25-23 | 27 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 19 | 7 | 5 | 7 | 25-23 | 26 |
| 9.საუთჰემპტონი | 19 | 6 | 6 | 7 | 19-22 | 24 |
| 10.ბორნმუთი | 19 | 7 | 3 | 9 | 26-31 | 24 |
| 11.ბარნლი | 19 | 7 | 2 | 10 | 21-29 | 23 |
| 12.ვესტ ჰემი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-33 | 22 |
| 13.უოტფორდი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-34 | 22 |
| 14.სტოკი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-32 | 21 |
| 15.ლესტერი | 19 | 5 | 5 | 9 | 24-31 | 20 |
| 16.მიდლსბრო | 19 | 4 | 6 | 9 | 17-22 | 18 |
| 17.კრ.პალასი | 19 | 4 | 4 | 11 | 29-35 | 16 |
| 18.სანდერლენდი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-35 | 14 |
| 19.ჰალი | 19 | 3 | 4 | 12 | 16-41 | 13 |
| 20.სუონსი | 19 | 3 | 3 | 13 | 21-44 | 12 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ეკა ირემაშვილი

# როგორი იქნება 2017 წელი დასავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის



2017 წლის ზოგად ასტროლოგიურ პროგნოზს დასავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშნებისთვის ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვაცნობს:

**ვერძი** – წლის პირველი ოთხი თვე დაუთმეთ გეგმიურ მუშაობას, ყოველდღიურ საქმიანობას, რაც ხელს შეუწყობს თქვენი პროფესიონალიზმის მეტად დახვეწას. ილუზიებს და სამყაროდან გაქცევის ფიქრებს დაემშვიდობეთ, თუმცა მარტში მათთან დამშვიდობება ყველაზე რთული იქნება. მაისიდან იწყება მეტად შემოქმედებითი პერიოდი, რომელიც განაპირობებს თქვენი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას. მეტი დრო დაუთმეთ შვილებთან ურთიერთობებს, მათ აღზრდას. მეგობრული ურთიერთობები, გართობა უნდა გადაიდეს მეორე პლანზე. ნოემბრამდე კარგი პერიოდია პირადი ურთიერთობებისთვის. გექნებათ უამრავი საინტერესო ერთობლივი საქმე, რომელიც იქნება დაკავშირებული როგორც დასვენებასთან და ოჯახთან, ასევე სამსახურთან. ჯანმრთელობის პროფილაქტიკური გასინჯვისათვის ყველაზე კარგი პერიოდია თებერვლის ბოლო და მარტის დასაწყისი. იანვარსა და თებერვალში მაღალია ქრონიკული დაავადებების, ტრავმების ალბათობა, რისკის ზონაშია შარდ-სასქესო სისტემა და სწორი ნაწლავი. მარტიდან წლის ბოლომდე მეტი ყურადღება დაუთმეთ ღვიძლს და ნაღვლის ბუშტს, დაიცავით დიეტა, გაესინჯეთ ექიმს. წლის ბოლოს კი მეტი ყურადღება დაუთმეთ ხერხემალს, მუხლებს და სახსრებს.

**კურო** – კუროთა უმრავლესობისთვის მამაცი წელიწადი იქნება აღსავსე მნიშვნელოვანი მოვლენებით. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს. რაც უფრო მშვიდი იქნება თქვენი ცხოვრებისეული სტილი, მით უკეთესი. წელს სარისკო მოქმედებებს მაქსიმალურად მოერიდეთ. მაისამდე დაკავდით თქვენთვის სასიამოვნო საქმეებითა და საკითხებით, რომლებიც სიამოვნებას მოგიტანენ. წლის დასაწყისში მეტად გამოავლინეთ თქვენი ინდივიდუალურობა, ხალხის მასაში ნუ გაქრებით. იანვარ თებერვალში შესაძლებელია გარკვეულმა სირთულეებმა იჩინოს თავი პარტნიორულ ურთიერთობებში. ეცადეთ, ამ პერიოდში არ იყოთ ინიციატორი კონფლიქტებისა, მოერიდეთ იურიდიულ გარჩევებს, რომც აპირებდეთ დაშორებას, ეს საკითხი გადაიტანეთ შემდგომი პერიოდისთვის. მარტიდან ურთიერთობები ნეიტრალურ ფაზაში გადავა, სიტუაცია უფრო დამშვიდდება. კარიერასა და ბიზნესში მაისამდე თქვენი საქმე მეტ-ნაკლებად სტაბილურად წარიმართება, თუმცა მაისიდან წლის ბოლომდე კარიერულ და პროფესიონალურ საკითხებში წინსვლა შეფერხდება. თქვენ იგრძნობთ, რომ ის საქმე, რომლითაც იყავით დაკავებული ბოლო 8-10 წლის განმავლობაში, უკვე გბეზრდებათ. ამ პერიოდში ყველა მნიშვნელოვანი პროექტი ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება, საჭიროა ყოველივეს შეჯამება. ახალი საქმეების დაწყება ნაკლებად წარმატებული იქნება. თუ თქვენ მთელი ძალით ეპოტინებით თანამდებობას, სტატუსს, პოზიციებს, პროფესიას, სამსახურს, მაშინ მოვლენებმა შეიძლება რთული ელფერი შეიძინონ, რადგან მოიმატებს დანაკარგების ალბათობა. ყველაზე კარგია, როცა მთელ დროს უთმობთ სახლს, ოჯახს, ხოლო საქმე თავისით მოდის თქვენთან, თქვენი მხრიდან ზედმეტი აქტიურობის გარეშე. რაც შეეხება ჯანმრთელობას, მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნებულია ქრონიკული დაავადებებისა და ტრომბების ალბათობა. მაისიდან-დეკემბრამდე მაღალია სერიოზული ოპერაციის ალბათობა. იანვარში ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობის დიაგნოსტიკას, წლის ბოლოს კი ხერხემალს და სახსრებს.

**ტყუპები** – წლის პირველ თვეებში მეტი აუცილებლობა იქნება დასვენებისა, გამოიყენეთ ეს დრო, რათა შეაჯამოთ წარსულის ნამოქმედარი და განეწყოთ მომავლისათვის. წლის მეორე ნახევარი დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან შეხვედრებთან, საინტერესო ცხოვრებისეული მიმართულებების აღმოჩენასთან, იღბალთან, სულიერ განვითარებასა და თვითრეალიზაციასთან. მაისამდე მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, სახლს, ეს ის საძირკველია, რომელზეც უნდა დააფუძნოთ თქვენი შემდგომი განვითარება. მაისიდან წლის ბოლომდე მეტად გამოხვალთ ძილბურანიდან, გამოცოცხლდებით. ეს კარგი დროა ახალი ნაცნობებისა და მოლაპარაკებებისთვის, სასარგებლო კონტაქტების დასამყარებლად, მოგზაურობისთვის, თუმცა უკეთესი იქნება ხანმოკლე მოგზაურობა მანქანით. თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი სათანადო სიმაღლეზე იქნება მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ზაფხულში და სექტემბერში. რომანტიკული პარტნიორული ურთიერთობები სასიკეთოდ წარიმართებიან, ოღონდ ქორწინებამდე. როგორც კი აიღებთ საკუთარ თავზე საქორწინო პასუხისმგებლობას ან დაპირებას, მაშინვე ჩაირთვებიან კოსმიური გამოცდები თქვენი ურთიერთობების მდგრადობაზე. განიმსჭვალეთ მოთმინებით, სულსწრაფ, იმპულსურ მოქმედებებს უკუჩვენება ექნება, ყველაფერი კარგად უნდა აიწონოს. ჯანმრთელობის მხრივ ყველაზე რთული იქნება იანვარი და თებერვალი. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და მის პროფილაქტიკას. ბოლომდე მიიყვანეთ დაწყებული მკურნალობა, რათა არ აღმოჩნდეთ გართულებების წინაშე.

**კირჩხიბი** – წლის დასაწყისში ეცადეთ მეტი შთაბეჭდილებები დააგროვოთ, იმოგზაურეთ, შეხვდით ადამიანებს, წლის მეორე ნახევარი კი მეტად დაუთმეთ საქმეს, სამსახურს, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მოვლენები ყოველივე ამას ხელს შეუწყობს. ოჯახში ჰარმონია და ურთიერთგაგებაა, წელიწადი ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც საოჯახო საკითხებთან იქნება დაკავშირებული. იანვრიდან მაისამდე გექნებათ მომძლავრებული სურვილი აქტიური მოძრაობისა, სიახლეებში წვდომისა, გამოცდილების შეძენისა, ხანმოკლე მოგზაურობებისა, სწავლისა, ახალი კონტაქტების დამყარებისა, ახლობლებთან ინტენსიური ურთიერთობებისა. სასიყვარულო ურთიერთობები პარტნიორთან ჰარმონიულად წარიმართებიან, თუმცა ნორმის ფარგლებში გარკვეულმა სირთულეებმაც შესაძლებელია იჩინოს თავი. მნიშვნელოვანი თვეა იანვარი, აქ კონფლიქტების ალბათობა მოიმატებს, მოიმატებს პარტნიორზე დამოკიდებულების ალბათობაც. მშვიდი არ იქნება მარტიც, მოერიდეთ კამათს. აპრილიდან სიტუაცია უფრო ნეიტრალურ იერსახეს შეიძენს, კონფლიქტების ალბათობა მინიმუმამდე შემცირდება. სიყვარულისთვის საუკეთესო პერიოდებია ზაფხული და შემოდგომა. თქვენს კარიერას წელს არაფერი ემუქრება, თუმცა სრული სიმშვიდეც არ იქნება. ყველაზე რთული თვეა მარტი, შესაძლებელია პრობლემები ხელმძღვანელებთან დაკავშირებით. თუ გაქვთ რაიმე ვალი, აუცილებლად გაისტუმრეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავთ საჭირო ენერგიას. ვალს მოერიდეთ, იცხოვრეთ იმით, რასაც შრომით მოიპოვებთ, მხოლოდ ამით გაგიძლიერდებათ საკუთარი თავის რწმენა.

**ლომი** – წლის დასაწყისში აქტუალურ ელფერს შეიძენენ ფინანსური საკითხები, შემდგომ კი ძირითადი თემა გახდება თვითრეალიზაცია, თქვენში გაიხსნებიან ნატურის ახალი ფორმები. ეცადეთ არავისზე არ იყოთ დამოკიდებული. იანვრიდან მაისამდე მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ პრაქტიკულ საქმეებს. გაიაზრეთ, რომ გესაჭიროებათ მყარი საძირკველი. მოერიდეთ ზედმეტ სარისკო მოქმედებებსა და სიტუაციებს, ზედმეტ ხარჯს და არასტაბილურობას. ისწავლეთ საკუთარი რესურსების კონტროლი, ფინანსების ყაირათიანი ხარჯვა, მათი ნაწილის გადადება შემდგომი გეგმების სარეალიზაციოდ. წელს თქვენი პირადი ცხოვრება გარკვეული კოსმიური გამოცდების წინაშე აღმოჩნდება. უნდა აღივსოთ მოთმინებით და არ იყოთ ზედმეტად პრეტენზიული პარტნიორის მიმართ. მარტიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე სამყარო გამოცდის თქვენს გრძნობებსა და ურთიერთობების ჭეშმარიტებას. ნუ ეპოტინებით გაშმაგებით იდეას, „რომ აუცილებლად უნდა დაქორწინდეთ, ან ნებისმიერი გზით შეინარჩუნოთ ურთიერთობა“, რაც უფრო აქტიურად ეცდებით ამას, მით მეტი იქნება შანსი პარტნიორის დაკარგვისა. კარიერული კუთხით კი დგება მეტად პოზიტიური პერიოდი.

**ქალწული** – როგორც იქნა, თქვენ იპოვეთ საკუთარი თავი, დაადექით თქვენს გზას განვითარებისა, გამოავლინეთ თქვენი შესაძლებლობები, ამჯერად კი აუცილებელი იქნება თვითრწმენის გამაგრება და შემდგომი განვითარების მიმართულების დადგენა. ფორტუნა სასიკეთოდ არის განწყობილი თქვენდამი ფინანსური კუთხით, აგრეთვე სამსახურებრივი შესაძლებლობებით. ეს მოვლენებია მოსალოდნელი წლის პირველ თვეებში. კარგად გაერკვევით, თუ რომელი პრინციპები და ფასეულობებია თქვენი და რომელი გარს მოხვეული საზოგადოების მხრიდან, რომლებზედაც უარს იტყვით. სასიყვარულო ურთიერთობებში წლის დასაწყისში, იანვრიდან მაისამდე უნდა გაარკვიოთ, ვისთან გინდათ, რომ იყოს თქვენს გვერდით და ვისთან არა და რატომ. ურთიერთობები, რომლებმაც ამოწურეს საკუთარი თავი, დასრულდებიან. ნუ ეპოტინებით იმას, რამაც უკვე მოჭამა თავისი დრო და რაც ხელს უშლის უკვე თქვენს წინსვლასა და განვითარებას.

**სასწორი** – წლის მთავარი ამოცანაა თქვენს შინაგან სამყაროში გარკვევა, ფსიქოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სულიერი ორიენტირების ჩამოყალიბება, რის შემდგომაც თქვენ წინაშე გაიხსნება ახალი ასპარეზი მოქმედებისა, გამოვლინდებიან ახალი მეგობრები, რომლებთანაც ერთად შეძლებთ საინტერესო პროექტების დაწყებას. თქვენი ავტორიტეტი გაიზრდება და ცხოვრება აღივსება პოზიტიური ენერგიით. პირადი ცხოვრება წელს არასტაბილურ იერსახეს შეიძენს, მოგიხდებათ ცხოვრება მუდმივი ცვლილებების პირობებში. ეს ეხება როგორც მუდმივ პარტნიორულ ურთიერთობებს, ასევე ახალ ნაცნობობასა და ურთიერთობებს. კარიერული პერსპექტივების კუთხით წელიწადი ნეიტრალურია, ზოგიერთ შემთხვევაში კი სასიკეთოც.

**მორიელი** – წლის დასაწყისი კოსმიური გამოცდების პერიოდია, ვინც გაუძლებს, ის მიიღებს კარგ შანსებს წლის განმავლობაში წარმატების მიღწევისა. წლის მეორე ნახევარი მეტად ხელს შეუწყობს კარიერულ განვითარებას. პირად ურთიერთობებში იწყება ერთ-ერთი ყველაზე ჰარმონიული პერიოდი, ფინანსური კუთხით კი მოთმინება გმართებთ, რადგან პრობლემები ამ სფეროში მოსალოდნელია. ივნისის შუა რიცხვებამდე გაქვთ შესაძლებლობა მოაწესრიგოთ პირადი ცხოვრება, იპოვოთ სიყვარულით ობიექტი, ამავდროულად ორიენტაცია გააკეთოთ სულიერ მხარეზე ურთიერთობისა და ცხოვრებისეული პოზიციებისა. რომანტიული ასპექტები ნაკლებად მნიშვნელოვანნი იქნებიან. შესაძლებელი იქნება ერთობლივი საქმის დაწყება. წელს ჯანმრთელობა შეიძლება გახდეს სტრესული მოვლენების საწინდარი, განსაკუთრებით წლის დასაწყისში, ამიტომ გაუფრთხილდით თავს, დაისვენეთ, იოგა ვარჯიშები სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს თქვენზე.

**მშვილდოსანი** – გარკვეულწილად რთული წელიწადია, აღიჭურვეთ წინდახედულობითა და მოთმინებით. ამავდროულად წელს შესაძლებელია ყველაზე კარგად გაერკვეთ იმაში, თუ რა გინდათ ცხოვრებაში, დასახოთ მნიშვნელოვანი მიზნები. მოსალოდნელია კარიერასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები. საინტერესო იქნება ურთიერთობა ირგვლივ მყოფ ადამიანებთანაც. წლის მეორე ნახევარი მეტად შეუწყობს ხელს საინტერესო მოგზაურობებს, ასე რომ, სასიკეთო შესაძლებლობებიც იქნება. წელს სრული კონცენტრაცია იქნება საჭირო საკუთარ თავზე, უნდა მოიშოროთ ყოველივე ის, რაც გიშლით ხელს განვითარებაში, ეს ეხება როგორც გარეგან კონტაქტებს, ასევე შინაგან სულიერ სამყაროს, ანუ ეს არის ფასეულობების გადაფასების და პიროვნული თვისებების რევიზიის პერიოდი. უნდა გამოააშკარაოთ საკუთარ თავში უარყოფითი, ხელისშემშლელი თვისებები, სტერეოტიპები და ეცადეთ მათგან განთავისუფლება, ყოველგვარი თვითგვემის, დეპრესიის და ზედმეტი ემოციების გარეშე.

**თხის რქა** – წლის პირველ თვეებში უნდა ჩამოყალიბდეთ თქვენს მსოფლმხედველობაში, ყურადღება მიაქციოთ ბრძენ მასწავლებელთა რჩევებს. წლის მეორე ნახევარი კი უფრო კოსმიურ გამოცდებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა თქვენ გეყოფათ ძალა და ენერგია, რათა დაძლიოთ ეს გამოცდები. წელს სულიერი მხარე უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ვიდრე მატერიალური. ფინანსებთან დაკავშირებით მოსალოდნელია სირთულეები, თუმცა კარიერული კუთხით შესაძლებელია პოზიტიური ცვლილებები. წლის დასაწყისში ეცადეთ მეტი იმოგზაუროთ, მიიღოთ ახალი შთაბეჭდილებები, შესაძლებელია იპოვოთ სულიერი მასწავლებელი, ნაყოფიერად ისწავლოთ, გადახვიდეთ საცხოვრებლად სხვა ქალაქში ან ქვეყანაში. წელს თქვენი პირადი ცხოვრება სტრესული სიტუაციების გარეშე ჩაივლის. სასიკეთო პაემნებისა და ურთიერთობების პერიოდი წლის პირველი ნახევრისაა. შესაძლებელია აქ შეხვდეთ სიყვარულის თქვენს ობიექტს. კარგი დროა შვილების გასაჩენად. ეს წელიწადი მეტად სასიკეთოა კარიერული წინსვლისთვისაც.

**მერწყული** – 2017 წელი მოითხოვს მერწყულებისგან მატერიალური სამყაროსგან და საკუთარი „ეგო“-სგან მეტად მოწყვეტას. მეტი ყურადღება გადაიტანეთ სულიერ განვითარებაზე, სხვათა დახმარებაზე. მაისამდე ეცადეთ მაქსიმალურად დაიცვათ სიმშვიდე, მიუხედავად გარკვეულად რთული სიტუაციების წარმოქმნისა. ეს პერიოდი კარგია სულიერი პრაქტიკისთვის, ცხოვრების არასტაბილურობის გასაცნობიერებლად, ინტუიციის გასაღრმავებლად, სპორტის ექსტრემალურ სახეობებთან ურთიერთობებისთვის. პირად ცხოვრებაში მაისამდე შენარჩუნებული იქნება ნეიტრალური. თქვენ აქ ვერ აკონტროლებთ სიტუაციას, ამიტომ მიიღეთ იგი ისეთად, როგორიც არის, სამყაროსადმი ყოველგვარი პრეტენზიების გამოხატვის გარეშე და ნუ იუარებთ იმ პიროვნებას, რომელიც ჩნდება ამ პერიოდში თქვენს ცხოვრებაში მიუხედავად მისი უცნაურობებისა. წელს თქვენს ჯანმრთელობას სერიოზული არაფერი ემუქრება.

**თევზები** – წლის დასაწყისი მოითხოვს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მონაგარის შეჯამებას, რომლის მსვლელობისას თქვენ უნდა დაგემყარებინათ კავშირები სამყაროსთან, გაგემაგრებინათ საოჯახო კავშირები და გაგერკვიათ სერიოზული ურთიერთობების მომავალი. თუ ყველაფერი სწორად შეასრულეთ, მაშინ ეს წელიწადი მეტად ნაყოფიერი იქნება. შეინარჩუნეთ თქვენი თვითმყოფადობა, თუმცა ამავდროულად გაითვალისწინეთ სხვათა სურვილებიც. სიყვარულში მაისამდე უნდა სასიკეთოდ გადაწყვიტოთ სერიოზული ურთიერთობები, რადგან ამ პერიოდში შესაძლებელია შეხვედრა თქვენს მეორე ნახევართან, ან არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება, საერთო საქმის დაწყება. ერთობლივი მოქმედება მეტად წარმატებულ ელფერს შეიძენს. წელს შედარებით რთული წელიწადია კარიერული საკითხებისთვის. ერთი მხრივ, მოიმატებს პასუხისმგებლობა, მოგიხდებათ ბევრი სამუშაოს შესრულება, მეორე მხრივ, კი გართულდებიან ურთიერთობები კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან. მოერიდეთ კონფლიქტებს.

## ასტროპროგნოზი
### 3 იანვრისათვის



**ვერძი** – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჩქარებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ცირკის მომთვინიერებელთა შოლტი; 2. დაბალი რანგის დიპლომატი; 3. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 12. პოლიგრაფიული საწარმო; 14. ტროპიკული ბოჭკოვანი მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ თოკებს, უხეშ ქსოვილებს; 16. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ქართველი უფოლოგი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ვენეციური წყლის ტრამვაი; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 9. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 10. ცხენებ-შებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. რაიონული ცენტრი რაჭაში; 18. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 20. აეროპორტი პარიზში; 21. პოლიციის განყოფილების უფროსი აშშ–ში; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სუში; 2. ფუქსი; 3. სმალტა; 5. პუდრი; 6. ბირთვისი; 8. გრენლანდია; 10. ევკომია; 12. ნეიმარი; 14. უზანგი; 15. თეზისი; 16. ასადი.

**თარაზულად**: 1. სტროფი; 4. აპლომბი; 7. ჩაქურა; 9. ტეკილა; 11. მეეზოვე; 12. ნონსენსი; 13. პორტიე; 17. რუზინე; 18. იდეა; 19. კრიმინალი; 20. ტარიბანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კატალონია; 2. აზურიტი; 3. კაბუკი; 4. ბახში; 5. ანდები; 11. დოკერი; 12. ტაპირი; 14. ქოცო; 16. ნიაგარა; 17. იმპულსი; 19. სოფისტი; 21. შოუდუ; 22. აგუნა.

**თარაზულად**: 6. მალვაზია; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. პლზენი; 10. კლოდი; 13. ციცქა; 15. ანტვერპენი; 18. ფიპრესი; 20. მუცო; 21. შამანი; 23. სარწყუნისი; 24. სლაიდი.

# დათუნიკა სხირტლაძე სცენაზე გარდაიცვალა



ანსამბლების „შინ“ და „ეგარი“ წევრი დათუნიკა სხირტლაძე 58 წლის ასაკში კონცერტის დროს სცენაზე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– ამბროლაურში, სცენაზე კონცერტის დროს გარდაიცვალა შესანიშნავი ხელოვანი, ჩემი მეგობარი დათო – დათუნიკა სხირტლაძე. ძალიან დიდი დანაკლისია მისი გარდაცვალება ჩვენი ქვეყნისათვის! ძალიან დაგვაკლდები დათუნიკა.

დათუნიკა სხირტლაძე სიმღერის გარდა, არაჩვეულებრივად ცეკვავდა და მის მიერ შესრულებული „რაჭული“ არაერთი ანსამბლის აღფრთოვანების მიზეზი გამხდარა.

ალბათ ბევრისთვის უცნობია, რომ ანსამბლ „რუსთავის“ ცეკვა „რაჭული“ ფრიდონ სულაბერიძემ სწორედ დათუნიკა სხირტლაძესთან ერთობლივი მუშაობით შექმნა.

– ცეკვა „რაჭული“ დღემდე ანსამბლ რუსთავის ერთ-ერთი „სავიზიტო ბარათია“. ამ ცეკვის დღევანდელი სახით დადგმა კი დავით სხირტლაძის სახელს უკავშირდება. ის საჭირო მასალის, მოძრაობების, მუსიკის შესაგროვებლად და დასახვეწად მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდა მშობლიური კუთხის, რაჭის კულტურას. ეს ცეკვა ხალხის მცირე მასისთვის იყო ცნობილი. დათუნიკამ ანსამბლ „რუსთავში“ დაიწყო ამ ცეკვაზე მუშაობა და უდიდესი შრომა ჩადო, – აცხადებს ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი.

თავად დათუნიკა სხირტლაძე ამ ამბავს ასე იხსენებდა:

– ილეთებს რომ ვუხსნიდი მოცეკვავეებს, ფრიდონმა მიყურა, მიყურა და მითხრა, დათუნიკა, შენ იცეკვებ „რაჭულს“ სცენაზეო. მთელი ღამეები არ მძინია, რადგან ვიცი ფილარმონიის ფასი, სცენის ფასი. „რუსთავში“ ჩემი გამოჩენა დიდი პატივი იყო, მაგრამ, ვფიქრობდი, 48 წლის კაცი არ ჩავფლავდე, სირცხვილია-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა, გეფიცებით, ხალხი ფეხზე იდგა და ტაშს მიკრავდა.

დათუნიკა სხირტლაძის გარდაცვალების შემდეგ, ეკრანებზე 2017 წელს გამოვა გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმი „ხიბულა“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეძღვნება. ფილმში მსახიობებთან ერთად დათუნიკა სხირტლაძეც მონაწილეობს.

**გიორგი ოვაშვილი:**

– დათო სხირტლაძე 2006 წელს გავიცანი, ჩემი ჯგუფ „შინ“-თან თანამშრომლობის დროს. მაშინ ჩემს პირველ ფილმზე „გაღმა ნაპირი“ ვმუშაობდი. ვნახე თუ არა მისი ცეკვა, მაშინვე მივხვდი, ფილმის საფინალო სცენაში მას უნდა ეთამაშა. ასეც მოხდა. ჩვენი ურთიერთობა შემდეგშიც გაგრძელდა, დათო სხირტლაძე ჩემს ახალ ფილმში „ხიბულა“-შიც ცეკვავს. ბატონმა დავითმა ძალიან დამწყვიტა გული თავისი წასვლით, უზომოდ. მასზე მოსაგონარი ბევრი დამრჩა. ნათელი დაადგეს მის სულს.

# 23 წლის ლუკა გვაზავამ ავტომანქანა და 2300 ლარი მოიგო




23 წლის თბილისელმა ლუკა გვაზავამ გადაცემაში „ცოდნა ფულია“ 2300 ლარი და ახალთახალი ავტომობილი მოიგო. ლუკამ მთავარ პრიზებთან ერთად შოუს წამყვანისგან, დუტა სხირტლაძისგან, საჩუქრად ყავა, შოკოლადები და ნაძვის ხეც კი მიიღო.

გადაცემაში „ცოდნა ფულია“ უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა – შოუს ისტორიაში პირველად, მოთამაშემ დამატებით თამაშზე თანხმობა განაცხადა. ფარით ფარზე – რაც ნიშნავს, ან ყველაფერი, ან არაფერი, ლუკამ დასმულ შეკითხვას „ერთი სიცოცხლის ძაფს რთავს, მეორე ძაფის სიგრძეს განსაზღვრავს, მესამე კი ჭრის“ პასუხი სწორად გასცა და გამარჯვებული გახდა.

ლუკა ინტერნეტ გვერდის „დრო მიდის, კადრები კი რჩება“ ერთ-ერთი ადმინისტრატორია, რომელსაც ათასობით მოწონება აქვს და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გვერდია ვირტუალურ სივრცეში. როგორც მან განაცხადა, როდესაც გადაცემისთვის „ცოდნა ფულია“ ანკეტა შეავსო და პროდიუსერი გადაცემაში მონაწილეობისთვის დაუკავშირდა, ლუკა ჰოლანდიაში იმყოფებოდა. იმისთვის, რომ ჩაწერაზე დროულად ჩამოსულიყო და ბილეთის ფული კი არ ჰქონდა, მან ავტოსტოპით 3 ათასი კილომეტრი გამოიარა და სტამბოლში ჩამოვიდა. ამ მოგზაურობის პერიოდში მან 12 მანქანა და 13 მძღოლი გამოიცვალა. სტამბოლიდან თბილისში კი ლუკა თვითმფრინავით ჩამოფრინდა.

# მომღერლებმა არასრულწლოვან პატიმრებს უმღერეს



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 არასრულწლოვანთა დაწესებულებაში კონცერტი გაიმართა. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტები არიან. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საგანმანათლებლო-გასართობ ღონისძიებაში, რომლებიც მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.

კონცერტზე ნოდიკო ტატიშვილმა, დათუნა მგელაძემ, სალომე ბაკურაძემ, გიგი ადამაშვილმა და ლიკა თუთისანმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ქართული და უცხოური ჰიტები შეუსრულეს.

– იმდენად ნათელი სახეები აქვთ, რომ მგონია, ისინი აპირებენ შეცვალონ ყველაფერი და დაიწყონ ახალი ცხოვრება. მინდა, მათ მივულოცო ახალი წელი, ის ცუდი, რაც მათ ცხოვრებაში იყო, დაუტოვონ ძველ წელს და ახალ წელს შეხვდნენ ახალი იმედებითა და პერსპექტივებით, – განაცხადა ნოდიკო ტატიშვილმა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ლეილა აფციაურმა მოწვეულ მომღერლებს სამინისტროს სახელით მადლობა გადაუხადა და მსგავსი აქტივობების მნიშვნელობაზე ისაუბრა:

– №11 არასრულწლოვანთა დაწესებულებას არაჩვეულებრივი შემსრულებლები ეწვივნენ და ძალიან ლამაზი დღესასწაული მოუწყვეს ბავშვებს. მინდა, მადლობა გადავუხადო მათ და მზადყოფნა გამოვთქვა სამომავლო თანამშრომლობაზე.

კონცერტის დასასრულს მომღერლებმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად იმღერეს. არასრულწლოვანმა პატიმრებმა კი, სტუმრებს სიურპრიზის სახით, მცირე წარმოდგენა შესთავაზეს. მსჯავრდებულებმა მომღერლებს საცეკვაო ნომრები შეუსრულეს და მათივე დაწერილი ლექსები წაუკითხეს.

# სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ შეჩერებულია




ქართული სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. შემოქმედებითმა ჯგუფმა ტელემაყურებელს ორი სეზონი შესთავაზა და სერიალი შეაჩერა. განმარტებები სერიალის შემქმნელებმა მაყურებლის ინტერესებიდან გამომდინარე, სპეციალური განცხადებით გააკეთეს:

– „ხელოვნური სუნთქვის“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფის სახელით გიხდით უდიდეს მადლობას ჩვენთან ერთად გატარებული ყველა საღამოსთვის! ორი სეზონის განმავლობაში მუდმივად ვიღებდით თქვენგან, ამ სერიალის მაყურებლებისგან, მხარდაჭერის და სიყვარულის გამომხატველ წერილებს, შექებას, კრიტიკას, ცრემლებს, სიცილს, ემოციებს და განცდებს, იმ ყველაფერს, რამაც მოგვცა უდიდესი ენერგია ამ მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად. მადლობას გიხდით ამისთვის მხოლოდ თქვენ, უკლებლივ ყველა მესიჯის, კომენტარის და სტატუსის ავტორს! მეორე სეზონი დასრულებულია. რაც შეეხება სერიალის გაგრძელებას – ამ ეტაპზე უცნობია, იქნება თუ არა ხელოვნური სუნთქვის მესამე სეზონი.“

სერიალის შემოქმედებითი გუნდის შემდეგ „ხელოვნურ სუნთქვასთან“ დაკავშირებით განცხადება „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამაც გააკეთა:

– ვეხმაურები ძალიან ბევრი ტელემაყურებლის შეკითხვას, საყვედურს, თხოვნას, მოთხოვნას, მუქარასაც კი. სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ ამ ეტაპზე ვერ გაგრძელდება, რუსთავი 2-ის წინააღმდეგ სახელმწიფოს ორწლიანი კამპანიის შედეგად არხზე შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამო. სამწუხაროდ, ჩავთვალეთ, რომ სხვა პრიორიტეტების დაფინანსება უფრო მნიშვნელოვანია. იმედია, უკეთესი დრო დადგება და თქვენი საყვარელი სერიალიც გაგრძელდება.

# ქუთაისის ბიბლიოთეკა ხანძარს გადაურჩა

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკასთან ახალი წლის პირველივე დღეს ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი, სავარაუდოდ, მოძველებულ ელექტროსადენებს გაუჩნდა, რის გამოც ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

ადგილზე რამდენიმე სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი დროულად მივიდა და სამსახურის დროული რეაგირების შედეგად, საჯარო ბიბლიოთეკა სერიოზულ ზარალს გადაურჩა.



მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

## მე ძვირფასი დედა დავკარგე!



ახალი წელი ყველასათვის გამორჩეულია. მას მთელი ქვეყანა განსაკუთრებულად აღნიშნავს, მაგრამ ამ დღესაც არსებობს გამონაკლისი და ამ იშვიათთა შორის აღმოჩნდა ჩვენი ოჯახი. 2016 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა – დედა!

დედა, რომლისთვისაც ოჯახი საფიცარი ხატი იყო, შვილებს და შვილიშვილებს კეთილშობილებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას გვინერგავდა. სანიმუშო მაგალითს თავად გვაძლევდა.

ბოლო დროს ლოგინად იყო ჩავარდნილი, ამასაც ძალიან წუხდა, მოამაგე დედა სატელეფონო საუბრებში ყველას მადლობას უხდიდა პატივისცემისთვის, განსაკუთრებით – რძალს ცეზარის...

უცნაურად აეწყო გასული წელი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ინება უფალმა ჩემი დის თამრიკოს სულის დავანება ზეციურ საქართველოში. თავზარდამცემი იყო მისი წასვლა ამ ქვეყნიდან. ეს იყო ბოლო ჭრილობა, რომელმაც დაღი დაასვა დედიკოს ჯანმრთელობას. მიუხედავად ამისა, ახერხებდა სასაფლაოზე მისვლას, ეფერებოდა მის გულზე დაყრილ მიწას. რა ვქნათ, განგებამ ასე ინებაო, ღმერთმა მალე შეგვახვედროს ერთმანეთსო ამბობდა. ღმერთმაც ისმინა მისი ვედრება. ჩვენ კი რა ვქნათ, მე განადგურებული დავდივარ უკვე მერამდენედ ამ უკიდეგანო წუთისოფელში. ჯერ იყო და ჩემი დის სიკვდილი, ცოცხალს ვერ მივუსწარი, ენგურის ხიდამდე მივაცილე მხოლოდ, და ისევ ეს დაწყევლილი ხიდი, ამჯერად ორსანტია–ოტობაიას გადასასვლელი ხიდი, ვდგავარ ხიდის თავში, აქედან ჩემს სახლამდე 600-700 მეტრია. იქ კი, ჩემს მამაპაპისეულ სახლში, ჩემი საფიცარი დედა ასვენია. მე კი რუსი და აფხაზი არ მიშვებს, რომ დავიტირო საკუთარი დედა, ნუთუ მათ არ ჰყავთ დედები, არ იციან დედის სიყვარული, ნუთუ ქრისტიანები არ არიან?!

ჩვენთვის საყვარელი, თბილი, სიკეთის მთესველი, ჰუმანური, გულისხმიერი, ჩვენი აღმზრდელი და გამზრდელი გული ბებია, ჩვენი პეპო! (პეპოშა). ასე მოთქვამენ შვილიშვილები და მათი შვილები, რომლებსაც ყველაზე მეტად უხაროდათ ოტობაიაში პეპოსთან ყოფნა. შენი საფიცარი შვილთაშვილები (ქეთი, გუჯა, დიტო, რეზიკო, ვერიკო, ლიზი, ნია, ქეთა, ილია) სანთლებს გინთებენ, შენს ფოტოს ეფერებიან. როგორ გიყვარდა მათთან ყოფნა, ბევრი რამ გადამატანინესო იტყოდი ხოლმე. შვილიშვილი დიტოშკა განსაკუთრებულად გიყვარდა, იმასაც განიცდიდი, რომ მის ქორწილს ვერ დაესწარი. უმცროსი ქალიშვილის გაბედნიერება ტელეფონით მომილოცა, მთხოვა, რომ ჩამოვა, ტელეფონით დამალაპარაკეო. ნენო მეუღლითურთ კი ჩამოვიდა, მაგრამ... დედი, ძალიან დაგვაკლდება შენი სითბო, სიყვარული, მზრუნველობა!

შენი შვილი ჯემალ გაბელია

რაჭის სოფელ მრავალძალის მკვიდრი სხირტლაძეები და იობაშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაჭის კოლორიტი და სიამაყე, საქართველოს ღირსეული მამულიშვილი

**დათუნიკა სხირტლაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**სამშაბათი 3 იანვარი**

**08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** მხ/ფ **"ბეთჰოვენი - 2"** **10.30** ტ/სპექ. **"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.20** ქართული მხ/ფ **"მე ბებია" ილიკო და ილარიონი"** **13.50** მხ/ფ **"სანტა კლაუსი"** (ჯ.პასკვინი) **15.30** ქართული მოკ/ფ **"სუფთა დაფა"** **16.20** მხ/ფ **"შვებულება"** **18.30** ქართული მხ/ფ **"ცისფერი მთები" ანუ დაუჯერებელი ამბავი"** **20.30** ტ/სერ. **"ომი და მშვიდობა"** **21.30** მხ/ფ **"მოახლე მანჰეტენიდან"** (რ.ფაინსი) **23.10** კონცერტი. გია ჭირაქაძე **00.20** მხ/ფ **"უკეთესი არ არსებობს"** (ჰ.ჰარტი) **02.35** მხ/ფ **"ჯუნიორი"**

**08.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი. **09.00** დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" **09.50** მხ/ფ **"რთული ბავშვი"** **11.05** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **12.00** ქართ. ტ/ფ **"სამი ამბავი ტელეფონით"** **12.25** დ/ფ ამსტერდამი **13.05** მხ/ფ **"შობა ბორკილებით"** **14.35** ქართ. ტ/ფ **"ქვევრი"** **15.00** "ბრიფინგის დრო" **15.30** იოსებ ნონეშვილის 95 წლისადმი მიძღვნილი საღამო. **16.55** დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" **17.50** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.20** მხ/ფ **"ცისფერთვალება მიკი"** (ჰ.გრანტი) **20.00** "მოამბე" **20.30** კონცერტი **22.30** ქართ. მხ/ფ **"შერეკილები"** **23.45** "ნამდვილი დრო" **00.15** მხ/ფ **"მშობლები"** **02.15** არჩილ კერესელიძის საიუბილეო საღამო.

**08.00** ქ.მხ/ფ **"აბეზარა"** **10.00** სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **11.20** სერ. **"გონული"** 1-2 სერ. **14.40** სერ. **"ფიცი"** **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35** სერ. **"პატარძალი"** **18.50, 19.03** სერ. **"ღირსების სახელით"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** შენ შეგიძლია ცეკვა **00.00** მხ/ფ **"ჩვენ ანგელოზები არ ვართ"** **02.05** მხ/ფ **"არ ინერვიულო"** **03.35** მხ/ფ **"როგორ მოვიშოროთ კაცი ათ დღეში"**

**06.00** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **08.00** მხ/ფ **"Garfield 2"** **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ **"გასეირნება თბილისში"** **13.55** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **15.55** სერ. **"ინდური საგა"** **16.55** სერ. **"ცხოვრების გზები"** **18.50** სერ. **"ოქროს გალია"** **19.55** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **20.05** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **20.50** ლოტო **22.00** მხ/ფ **"პოკერი სიყვარულის წესებით"** კონცერტი "იავნანა-ქათამაძე-ანიტა რაჭველიშვილი" **00.00, 03.30** მხ/ფ

GDS **08.00** ან/სერ. "ავატარი" **08.30** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები"** **09.00, 19.00** სერ. **"დოქტორი ჰაუსი"** **10.00, 18.00** სერ. **"სკანდალი"** **11.00** სერ. **"კერძო პრაქტიკა"** **13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები"** **15.00** მხ/ფ **"ტოსკანის მზის ქვეშ"** **17.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ **"კოსმოსური ჯემი"** **22.00** სერ. **"მოტივი"** **23.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი"** **00.00** მხ/ფ **"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე"** **02.25** მხ/ფ **"ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი"**

**06.10** სპექტაკლი **"მტრედის მოტანილი ბარათები"** II **07.00** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პატერიკი-"სამი წმინდა დედის ნატვრა" **10.40** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია-"ხონი" **11.15** დ/ფ **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ **"ბაკურციხელი ხევსური"** **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ტყავი,ბეწვი,ორნამენტი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "იმპერატორის ბულბული" **15.50** საქართველოს დაცული ტერიტორიები **16.10** ქრისტიანული ხელოვნება "სინას მთაზე დაცული ქართული ხატები" **16.40** სიმღერის კვალდაკვალ "სიღნაღი" **17.05** დ/ფ "იმედი საქართველოისი-ილია II" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **19.50** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი "ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია საქართველოში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. **"კარმელიტა"** **10.00, 2.00** სერ. **"ორი გული"** **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. **"ჩემი ერთადერთი ცოდვა"** **13.30, 15.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. **"მარისა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. **"მორიგე ექიმი"** **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. **"მიცანი თუ შელებ"** **21.55** სერ. **"გემი"** **22.40** სერ. **"უცხო"** **0.30** სერ. **"ჩემი ერთადერთი ცოდვა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
Akhali Taoba
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 იანვრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6468 |
| ევრო | 2.7940 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2579 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2999 |

## ამინდის პროგნოზი 3 იანვრისთვის




## 20 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




ემილ ზოლა

ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## იუმორი

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, დაწერონ საკონტროლო თემაზე: „მე რომ დირექტორი ვიყო“.

ბავშვებმა წერა დაიწყეს. მხოლოდ გიგი ზის და ფანჯარაში იყურება. მასწავლებელი ეკითხება:

– გიგი, რატომ არ წერ დავალებას?

– მდივანს ველოდები.

●●●

სამი კოლეგა ზის და სვამს. შეზარხოშების შემდეგ ლაპარაკის სალერღელი აეშალათ. ერთი ამბობს:

– კოლეგებო, იცით რა, ჩვენი უფროსის ცოლთან დავდივარ, მხოლოდ არავისთან წამოგცდეთ...

– მეც უნდა გავამხილო ერთი საიდუმლო, – ამბობს მეორე, – საერთოდ, მე ცისფერი ვარ და გთხოვთ, ეს ჩვენს საიდუმლოდ დარჩეს.

– არც კი ვიცი, როგორ გითხრათ, – ეუბნება მესამე.

– მიდი, გაამხილე, შენიანები ვართ, აბა, რა უნდა გვითხრა?

– იცით, რაშია საქმე? საიდუმლოს შენახვა არ მეხერხება.

●●●

დაწყებით კლასში გაკვეთილი მიმდინარეობს. მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– ბავშვებო, აბა, მომიყევით, როგორ ცხოვრობთ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როგორ აკეთებთ ეკონომიას? აბა, რას მეტყვი, თეონა?

– ჩვენ უკვე ნახევარი წელია, ხორცს არ ვჭამთ.

– აბა, შენ რას მიპასუხებ, ლევან?

– კბილებს დღეში მხოლოდ ერთხელ ვიხეხავთ.

– შენ, გიგი...

– დედა გავაგდეთ სახლიდან...

– რას ამბობ, გიგი, რატომ?

– მე და მამამ მოვითათბირეთ და... მე დიდი ხანია, ძუძუს აღარ ვწოვ, მამას ქალები აღარ აინტერესებს და მეზობლებისთვის მისი შენახვა რაში გვაწყობდა...

●●●

თუ ვუყურებთ მულტფილმს „ურჩხული და მზეთუნახავი“, ოღონდ, პირიქით, მაშინ მივიღებთ ისტორიას გოგონაზე, რომელიც გათხოვდა უმშვენიერეს პრინცზე, თავისი სიყვარულით ის აქცია საშინელ ურჩხულად, ამ ყოველივეს შემდეგ გაიქცა თავის მამასთან და ცხოვრობდა დიდხანს და ბედნიერად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 27 დეკემბრიდან

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი

თორმეტი კეისრის ცხოვრება

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




## 22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

წითელქუდა

მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 29 დეკემბრიდან

ჰანს კრისტიან ანდერსენი

პატარა სირინოზი

მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## იუვენტუსი ალექსის სანჩესის ყიდვას შეეცდება



ტურინის იუვენტუსი 2017 წელს რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას შეეცდება. ტურინელების მთავარი სამიზნე ლონდონის არსენალის ფორვარდი ალექსის სანჩესი იქნება, რომელმაც ჯერჯერობით არსენალთან ახალ კონტრაქტზე ვერ მოილაპარაკა და არ არის გამორიცხული, მან ლონდონური კლუბი დატოვოს.

სანჩესი ხელფასის გაზრდას ითხოვს, არსენალის ხელმძღვანელობა კი თვლის, რომ ჩილელი ფეხბურთელი საკმარისად ბევრს იღებს. სანჩესს ჩინეთიდანაც შეეხმიანენ, მაგრამ ალექსისმა ამ წინადადებაზე უარი თქვა, ამიტომ მისი იუვენტუსში ტრანსფერი სავსებით რეალურია.

სანჩესი არსენალში 2014 წელს გადავიდა, მანამდე კი ის 3 წლის მანძილზე ბარსელონას ღირსებას იცავდა.

## როჯერ ფედერერი კორტებს დაუბრუნდა



ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი 6 თვიანი პაუზის შემდეგ კორტებს დაუბრუნდა.

ფედერერი ჰოფმანის თასზე მონაწილეობს, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე ტარდება. ფედერერის მეტოქე ბრიტანელი ჩოგბურთელი დანიელ ევანსი იყო, რომელიც რეიტინგში არცთუ მაღალ პოზიციას იკავებს. ფედერერმა ადვილად მოიგო ორი სეტი, ანგარიშით 6:3, 6:4 და დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა. შვეიცარიელი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და, როგორც ჩანს, ის კარგ ფორმაში იმყოფება.

შემდეგ შეხვედრას ფედერერი 4 იანვარს ალექსანდრ ზვერევის წინააღმდეგ გამართავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პაულო დიბალამ რეალში თამაშის სურვილი გამოთქვა

იუვენტუსის არგენტინელმა ფორვარდმა პაულო დიბალამ უარყო ინფორმაცია, თითქოს მან იუვენტუსთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. დიბალას თქმით, ის სხვა გუნდში



გადასვლას არ გამორიცხავს და შესაძლოა ეს ამ ზაფხულშივე მოხდეს.

პაულომ მადრიდის რეალზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს კლუბი ძალიან სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და იქ მოხვედრა ყველას ოცნებაა.

დიბალა ამჟამად 23 წლის არის და იუვეს ერთ-ერთი ლიდერია, ამიტომ ტურინული გუნდი მას ადვილად ვერ შეელევა. დიბალას ყიდვის სურვილი ინგლისურმა კლუბებმაც გამოთქვეს, მაგრამ იუვემ მათ უარი უთხრა.

## რომას ხესე როდრიგესის შეძენა სურს



იტალიური რომა პსჟ-ს ესპანელი ფორვარდის, ხესე როდრიგესის, შეძენას აპირებს, რომელსაც ფრანგულ გუნდში სათამაშო პრაქტიკა თითქმის საერთოდ არ აქვს და მისი გუნდიდან წასვლა არავის გაუკვირდება.

ხესე პსჟ-ში წლევანდელ ზაფხულს მადრიდის რეალიდან გადავიდა და ყველა ფიქრობდა, რომ ის გუნდის ლიდერი გახდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რომა მზად არის, ხესეს ტრანსფერში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს და ესპანელ ფორვარდს რამდენიმეწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს.

თვითონ ფეხბურთელს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ანდრეს ინიესტა ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს



კატალონიის ბარსელონას ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ განაცხადა, რომ აუცილებლად მოაწერს ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს ხელს და ეს შესაძლოა მალე მოხდეს.

ინიესტამ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მისი წასვლის შესახებ ჭორები აგორდა. ანდრესმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბარსელონაში ის ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს, განსაკუთრებით უახლოეს რამდენიმე წელიწადში.

ინიესტა 32 წლის არის და საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც თვეზე მეტი გაუცდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დემონი არაბულ ფოლკლორში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. მათემატიკური ორწევრი; 15. აზერბაიჯანული მაწონი; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. საფოსტო გზავნილება; 7. საგაზეთო პუბლიკაცია; 9. მეფის მრჩეველი ძველად საქართველოში; 11. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 12. მდინარე გაგრაში; 13. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

